სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი 14 ნოემბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას, რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა [illegible] ... ქ. 199. რედაქცია „[illegible]" ... განცხადებები [illegible] რედაქციაში ვერ მიიღებს. რედაქციაში მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე, რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ. Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 246 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 246

ულრმეს მწუხარებასა შინა მყოფნი, ძმები: ალექსი და სოლომონ გაბრიელის ძე ბოლქვაძეები; დები: მართა და კესა ვაჩეიშვილისა და ჭაჭანიძისა, შვილებითურთ; რძლები: ნინა (პატკუ) და ტასო ბოლქვაძისა; ძმის წულები: ვენერა და ელეონორა (კუფნა) სოლომონის ასულნი; დამიანე, გერასიმე და გერონტი ალექსის ძე, ჩიტო იაგორის ასული, ვალოდია და კარლო იაგორის ძე ბოლქვაძეები; სიძე ვლადიმერ ხოსოს ძე ჭაჭანიძე; ნათლისდედა ელისაბედ დიმიტრი ქურის ასული სალუქვაძისა; ლაციონ ალექსანდრეს ასული სალუქვაძისა შვილებითურთ; ნესტორ და შალიკო გიგოს ძე სალუქვაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უძვირფასესის და მარად დაუვიწყარის უეცრათ გარდაცვალებულის

## იაკინთე გაბრიელის ძის ბოლქვაძის

სულის მოსახსენებლათ დანიშნულია შაბათს, 16 ნოემბერს (ახ სტ), სოფელ მიქელ გაბრიელში, მიქელ გაბრიელ მთავარ ანგელოზის ეკლესიაზე (გურია).

ღრმად დამწუხრებული მეუღლე მარიამ ჯიტოს ასული დოლიძისა, შვილები: ქსენია, ვარლამ, ვენერა და შუტუ იესეს ძე დოლიძეები, მამა ბეჟუკა დოლიძე და დაი მატატი ბეჟუკის ასული შარაშიძისა, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ სამშაბათს, 19 ნოემბერს (ახ. სტ.), დილის 10 საათზე გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი ორმოცი დღის შესრულების თავზე მათი ძვირფასი

## მღ. იესე დოლიძის

სულის მოსახსენებლად, ასკანის საზოგადოებაში სოფ. გვაბრათში მაცხოვრის ეკლესიაზე, რადგან დაკრძალვის დღეს მეუღლის ავათმყოფობის გამო არ გამართულა ტირილი, უკანასკნელი გამართული იქნება იმავე დღეს.

თფილისის სახალხო გვარდიის 1-ლი ქვეითი ბატალიონი, ამით აუწყებს ნათესავთ და ამხანაგებს, რომ ღამით 9 ნოემბერს, უბედური შემთხვევის გამო, ტრაგიკულათ გარდაიცვალა თავისი ვალდებულობის ასრულების დროს ზემო აღნიშნულ ბატალიონის წევრი ამხანაგი

## ილიკო რუხიევი,

თფილისიდან გასვენება მოხდა 12 ნოემბერს, ქ. ოზურგეთში.

ღრმად დამწუხრებულნი: მამა პავლე, დები: სოფიო და ანეტა ქლიბტები, სიძე ფრიდონ და ნინა ჩხიკვიშვილები ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მიმდინარე წლის ნოემბრის თექვსმეტს (ახ. სტ) ჯვარცხმის ეკლესიაში (ს. ქვემო ჯვარცხმა—გურია), დილით, შაბათს, გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარ

## სამსონის

სულის მოსახსენებლად.

დამწუხრებულნი: ბიძაშვილი მიხოდ და რძალი ნინო კაველაძეები აუწყებენ ნათესავ-ნაცნობთ

## ლევან კაველაძის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება ექიმ წულუკიძის საავათმყოფოდ 6 (მიხეილის პროსპექტი) წმ. ნინოს ეკლესიაზე დღეს დილ. 9 საათზე.

დამწუხრებული შვილი გერმანე ამით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ პირველ ნოემბერს გარდაიცვალა საყვარელი მამა

## ანდრია სიკოს ძე მგალობლიშვილი.

## სახელმწიფო თეატრი

ორშაბათს, გიორგობისთვის 18-ს

ქართულ დრამატიულ საზოგადოების ახალი დასი

სეზონის გასახსნელად

წარმოადგენს ბრიეს 5 მოქმ. მუსიკალურ დრამას.

## სარწმუნოება

(პიესა რამდენჯერმე განმეორდება სხვადასხვა ანსამბლით).

რეჟისორი—გ. ჯაბადარი. ადმინისტრატორი მ. ხერხეულიძე.

## სახელმწიფო თეატრი

ოპერა

ხუთშაბათს, 14 ნოემბერს,

ო. ა. ალეშკოს, ბ. ი. ზლიპაკის და ე. ა. ვრონსკას მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება „ვერტერი" ოპერა 4 მოქმედებად მუსიკა მასსენისა.

ფასები ძლიერ დაწეულია. დასაწყისი სთ. 8 საათ. (ძველი დროით).

ანონსი: შაბათს 16 ნოემბერს 1) „სელსკაია ჩესტ" და 2) „პაიაცი". კვირას, 17 ნოემბერს, „ფაუსტი".

კავკასიის სამეურნეო საზოგადოება ამხანაგობა

აუწყებს მემამულეთ, ვისაც სურთ იჯარით გასცენ თავიანთი

## ხილის ბაღები

და სარწყავი

## საგუსტნეულო მიწები

მიმართონ ამხანაგობას, ბარიატინსკის ქუჩა, № 5. დილით თორმეტიდან ორს საათამდის. (1—4)

## მომავლის პერსპექტივები

დემოკრატიის ყურადღება დასავლეთისაკენ არის მიპყრობილი. იქ სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა იწყება შრომასა და კაპიტალს შორის.

ყველაზე ძლიერათ მოძრაობამ გერმანიაში იფეთქა—იქ, სადაც ყველაზე უფრო დაცული იყო შინაური ფრონტის მთლიანობა და სამოქალაქო ზავი. დღეს იქ გასაშტერებელი ამბები ხდება: ვერც მმართველ კლასების მეტისმეტმა ლოიალობამ და ვერც მთავრობის მხრით სოციალ-დათმობამ ვერ შესძლო ხალხის გულში დაგროვილ ბოღმის განელება და უკმაყოფილებამ ერთბაშათ იფეთქა.

აქ ერთი შეხედვით მეორდება ის, რასაც რუსეთის დიდი რევოლუციის პირველ ხანებში ჰქონდა ადგილი: როგორც რუსეთში, ისე გერმანიაში, ძლიერი იყო მონარქიის და სამხედრო პარტიის გავლენა; როგორც რუსეთში, ისე გერმანიაში აჯანყების სტიმულათ გახდა ფრონტზე დამარცხება. და როგორც რუსეთში, ისე გერმანიაში უსისხლოთ მოხდა მონარქიიდან რესპუბლიკაზე გადასვლა: თითქოს ჯადოსნურ კვერთხის დარტყმით დაინგრა მეფის ტახტი და მისი ადგილი ხალხმა დაიჭირა.

მაგრამ მსგავსება ამით არ თავდება: იგივე მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები, იგივე დაძმობილება ხალხსა და ჯარს შორის, რასაც რუსეთში ჰქონდა ადგილი. და ასე გაშინჯეთ, სიტყვებსაც კი ავტომობილებიდან ამბობენ ორატორები—იმდენათ ძლიერი და თვალსაჩინოა მსგავსება გერმანიაში მომხდარ ამბებსა და რუსეთის რევოლუციის ეპიზოდებს შორის. და თუ დავუმატებთ იმასაც, რომ გადატრიალების წინა დღეებში ბოლშევიკურ მთავრობის წარმომადგენელმა იოფემ ბოლშევიკური მოწოდებებით მოჰფინა გერმანიის ქალაქები, მკითხველს შეიძლება ეგონოს, რომ გერმანიაში დაწყებული ბრძოლა ლენინის მეთოდებით ვითარდება. სწორედ ასე ხსნიან მომხდარ ამბებს ბოლშევიკები, რომელნიც ეჭვი არ არის, ქვეყანას დაუწყებენ რწმუნებას: ბოლშევიზმი გერმანიაშიაც იმარჯვებსო.

მაგრამ ეს ასე არ არის.

ჯერ ერთი, როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, დიდი განსხვავებაა რუსეთსა და გერმანიას შორის: მაშინ, როდესაც რუსეთში ჯერ კიდევ სავსებით მეურნეობაა გაბატონებული, გერმანიაში უკვე მომზადებულია ის ნიადაგი, რომელზედაც, როგორც ზედნაშენი, შეიძლება ლია ახლო მომავალში მოეწყოს სოციალისტური წყობილება. ამიტომ გერმანიას არ მოუხდება სოციალისტურ ექსპერიმენტების უნაყოფო ცდა, მსგავსად ბოლშევიკებისა, იქ ადგილი არ ექნება ერთი მუჭა ავანტიურისტების ბატონობას და სურვილს მთელი ხალხის ძალად დამორჩილებისას. ამის გარდა განგამოხატულებას ჩვენ კიდეც ვხედავთ გერმანიაში: რუსეთში ლენინის ჯგუფი ებრძოდა დროებით მთავრობას, ხოლო როცა დიდილად ჯარში შესაფერი გამოძახილი ჰპოვა, თვით მოექცა მთავრობის სათავეში და ხალხის უმრავლესობის დათრგუნვაში ისე შორს წავიდა, რომ დამფუძნებელ კრების გარეკის წინაშეც კი არ შეჩერდა. გერმანიაში კი ზომიერ შეიდემანის და უკიდურეს ლიბკნეხტლუქსემბურგის ფრაქციები შეერთდენ და ერთ მთავრობაში მოიყარეს თავი. ეს კი მოასწავებს ერთი მთლიანი სოციალისტური ფრონტის შექმნას, რის დარღვევამაც გააძლიერა ბოლშევიზმი რუსეთში და დემოკრატია გაანადგურა.

არის გერმანიის რევოლუციაში აგრეთვე მეორე მხარე, რომელიც იმედს დემოკრატიის ბედს უზრუნველჰყოფს: ეს არის შეგნება ჯარის, რომელიც, მიუხედავათ ყველა ფრონტებზე გამოცხადებულ დროშებით შერიგებისა, მაინც არ გარბის სახლში, როგორც ეს რუსეთში მოხდა.

ერთი სიტყვით, მიუხედავათ ზოგიერთ წვრილმან მსგავსებისა რუსეთთან, გერმანიის რევოლუცია ნორმალურის ტემპით მიმდინარეობს და ეს სანეტარო იმედით ავსებს ჩვენს გულს: გერმანიის დემოკრატიის ბედი საიმედო ხელმძღვანელების ხელშია. გარემოებაც ხელს უწყობს მას: მართალია რევოლუცია იშვა ომის მიერ გამოწვეულ არა სასურველ პირობებში, მაგრამ სამაგიეროთ, მთელი ქვეყნის იმპერიალიზმი გაკოტრდა ოთხ წლის ნახევრის ომის ქარცეცხლში და გერმანიის პროლეტარიატი დღეს განმარტოებულათ არა სდგას ბრძოლის ველზე, როგორც ეს რუსეთში იყო: გერმანიის პროლეტარიატის ტიტანიური ბრძოლა თანაგრძნობას იწვევს ინგლისის, საფრანგეთში და ამერიკაში, ინტერნაციონალი ფრთას შლის და იმპერიალისტების მაღალ ლავამს აშორებს.

ამ გვარათ ევროპა ღიად სოციალურ გარდაქმნის გზაზე დგება. სოციალისტური რევოლუციის ზარი უკვე ჩამოირეკა. და საქართველოს ახალშობილი სოციალ დემოკრატია ბედნიერია მით, რომ საერთაშორისო მოძრაობაში მასაც შეაქვს თავისი წვლილი.

## დაშნაკცუთიუნის ახალი ფანდი

მუხანათური თავდასხმა იმ დროს, როცა მტერში სისუსტეს ხედავს, და თავის მოკატუნება და ერთგულების ფიცი იმ დროს, როდესაც მას შეუფუცხუნებთ და ძალას აჩვენებთ,—აი „დაშნაკაკანების" პარტიის თანდაყოლილი თვისება. ეს თვისება მისი მეორე ბუნებაა, ეს თვისება ბეჭედს ასვამს ყოველს მის ნაბიჯს, ყოველს მის პოლიტიკურ მოქმედებას, შინ და გარეთ. ამ თვისების წყალობით ბევრი მტერი მოუპოვა „დაშნაკცუთიუნმა" სომხის ხალხს, რომელიც მას მისდევს, რომლის „განმარტოებაზედაც" მან ბევრი იმუშავა და რომელიც ლამის არის უფსკრულის პირს მიაყენოს.

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რა გამწარებული ბრძოლა დაუწყო ამ პარტიამ საქართველოს რესპუბლიკას ამ ბოლო ხანებში. ბრძოლა იმდენად აშკარა და თავხედური იყო, რომ მთავრობის მხრით გამოიწვია საჭირო ზომები სახელმწიფოს დასაცველათ; და დღეს, როცა „დაშნაკელებს" ეს ზომები ემწარათ, როცა მათ დაინახეს, რომ საქართველოს რესპუბლიკა არც ისე უმწეო ყოფილა, როგორც მათ ეგონათ, ისინი თავისებურათ ინაზებიან და ცდილობენ ქვეყანას ისე მოაჩვენონ თავი, თითქოს მათზე ერთგული მოქალაქეები ჩვენს რესპუბლიკას არ ჰყავდეს.

ამ თავის მოკატუნების ტონი მისცა ბ. ზორიანმა საქართველოს პარლამენტის სხდომაზე 11 ნოემბერს. დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემის მაგიერად, ბ. ზორიანი გულში ხელს იცემდა და მეშარჯვენეებს უკიჟინებდა, საქართველოს რესპუბლიკას რომ მტერი შემოესიოს, ჩვენ პირველ რიგში ჩავდგებით და მას შევებრძოლებითო.

ბ. ზორიანის გზას დასდგომია დღეს „დაშნაკცუთიუნის ცენტრალური კომიტეტი საქართველოში". მან გამოსცა „მოწოდება", რომელშიაც თავის გულის წყრომას გამოსთქვამს იმის გამო, რომ „უკანასკნელ დღეებში რამდენიმე მოტივების ძალით ქართულ პრესაში, კერძოთ „ერთობა"-ს და „ბორბაში" სწერენ რაღაც შეთქმულობაზე საქართველოს რესპუბლიკის და მის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. მაგნაირივე ლაპარაკი ისმოდა პარლამენტის საგანგებო სხდომაზე ყველა ფრაქციების მხრით, განურჩევლათ მიმართულებისა". ცენტრალური კომიტეტი გადაჭრით აცხადებს, „რომ ეს ხმები ცხადი და უტიფარი პროვოკაციაა", რომ „დაშნაკცუტიუნი" ყველა თავის დადგენილებებში, ინსტრუქციებში და აგიტაციაში ყოველთვის მხარს უჭერდა საქართველოს რესპუბლიკის არსებობას და მის დამოუკიდებლობის გამაგრებას, რომ ამ პარტიას არავისთვის საბუთი არ მიუცია, რომ ეჭვი შეიტანოს მის ლოიალობაში". ცენტრალური კომიტეტი გულში ხელისცემით და თვალების ზეცაში ალპყრობით ფიცულობს, „არც თავის პრინციპების მიხედვით, არც ტაქტიკურ მოსაზრებით „დაშნაკცუთიუნს" არავითარი ინტერესი, არავითარი მიზეზი და არც მიზანი აქვს, რომ გადადგას ისეთი უგუნური და ანტი-დემოკრატიული ნაბიჯები, როგორიცაა „ამბოხება" და „შეთქმულობა".

ასე გამწარებული ფიცულობს „დაშნაკცუთიუნი". მაგრამ მას ავიწყდება, რომ არც ისე გულუბრყვილო ხალხია მათი მოწინააღმდეგენი, რომ მათ რწმუნებას დაუჯერონ და მათი „საქმეები" კი დაივიწყონ. „დაშნაკაკანებს" ჩვეულებათ თავისი სიტყვის გადათქმა და თავის ნამოქმედარის მიფუჩეჩება, მაგრამ მათ უნდა ცოტა დაიცადონ, სანამ დაამდებოდეს და დაიშუშებოდეს ის წყლული, ის ჭრილობა, რომელიც მათ ორ უკანასკნელ კვირეში მიაყენეს საქართველოს დემოკრატიას, და მერე დაიწყონ ტკბილი ლაპარაკი და ერთგულების გამოცხადება. ჯერ კი ეს ჭრილობა მეტად ახალია და „დაშნაკცუთიუნის" მუხანათობით მიყენებული ტკივილები არ დაამებულა.

როგორ გნებავთ დაუჯეროთ თქვენს ლოიალობაში ის დემოკრატია, რომლის ბელადება ენვერ ფაშას და თალათ-ბეის დაადარეთ? ვინ გინდათ დაარწმუნოთ თქვენს ერთგულობაში ამნაირ აგიტაციის შემდეგ:

„სომხეთის მთავრობა, ყველა სომხის მცხოვრებნი საქართველოში, ყველა სომხური ორგანიზაციები თფილისში, ყველა სომეხი მოქალაქენი არავითარ მ ხვერპლს არ უნდა დაერიდონ და უნდა აიძულონ საქართველოს მთავრობა დაუყოვნებლივ ბოლო მოუღოს სომხის ხალხის მშვიდობიან ცლეტას". ეს არის თქვენი ლოიალობა და ერთგულობა? ნუ თუ ისე გულუბრყვილოთ მიგაჩნიათ თქვენი მოწინააღმდეგენი, რომ მათ ვერ დაინახონ ამ აგიტაციაში ამბოხებისკენ მოწოდება? თუ კი საქართველოს მთავრობა მართლა ენვერ ფაშების პოლიტიკას ეწევა, თუ კი იგი მართლა საქართველოში სომხებს „მეორე მესოპოტამიას" უწყობს, თუ კი იგი სომხების „ცლეტას" აწარმოებს, გვაბრძანეთ, რა ვალი ედება იმ სომხის მთავრობას, სომხის მცხოვრებთ, სომხის მოქალაქეებს, სომხის ორგანიზაციებს", რომლებსაც თქვენ აკავშირებთ და რომლებსაც თქვენ გამოსასვლელათ მოუწოდებთ? რა მიზანი ექნება მათ გამოსვლას, თუ არ ის, რომ ეს სომეხ ხალხის „მკვლელი" ენვერ-ფაშები ჩამოაგდონ? ყველა თქვენი ნაწერი სომეხ ლტოლვილთა შესახებ, რომ სიმართლე იყოს, რომ შეგნებულს და წინასწარ განზრახულს ცილის წამებას არ წარმოადგენდეს, ყოველი მოქალაქის ვალი იქნებოდა, რომ „თალაათ ფაშების და ენვერ-ფაშების" წინააღმდეგ იარაღით გაელაშქრათ. მაგრამ თქვენი მუხანათობა სწორედ იმაშია, რომ ყველა თქვენი ნაწერი სომეხ ლტოლვილთა შესახებ მტკნარი სიცრუე და ცილისწამებაა. და ღღევანდელი თქვენი ფიცი, საქართველოს რესპუბლიკის ერთგული მოქალაქენი ვართ და ამბოხებისაკენ მოწოდება აზრადაც არ მოგვსვლიაო, თქვენს მოწინააღმდეგეებში მხოლოდ ზიზღს გამოიწვევს თქვენდამი. იყავით მტრები, მაგრამ იყავით კეთილშობილი მტრები, ისე რომ თქვენი მოწინააღმდეგეებიც პატივისცემით გეპყრობოდენ.

## პრესა

„ორიზონ" „აშხატავორმა" ამიერ-კავკასიის სახელმწიფოთა წარმომადგენლების კონფერენციის იდეა დაიწუნა და ისაზრი გამოსთქვა, რომ ქართველ-სომეხთა მორიგება მხოლოდ იმ პირობით შეიძლება, თუ საქართველოს რესპუბლიკა საშუდამოთ ხელს აიღებს ლორისზე და ბამბაკზე. „კავკაზსკოე სლოვოში" ამ ლორისის და ბამბაკის საკითხზე თავის აზრს გამოსთქვამს სომხების ცნობილი პოეტი ბ. ოვანეს თუმანიანი. მისი წერილი რბილი, მორიგების კილოთი არის დაწერილი და არ წააგავს „დაშნაკელების" მიერ ორი ერის ერთმანეთზე წაკისინებას. ბ. ოვ. თუმანიანი იგონებს ისტორიულ წარსულს, როდესაც ლორისში დაარსებული ყოფილა „კურიკის სახელმწიფო" და როდესაც ამ ადგილზე დიდი გავლენა მოუპოვებია საქართველოს სამეფოს. ავტორის აზრით, საქართველოს ცხლანდელი მოთხოვნის, რომ ლორისი ჩვენს საზღვრებში უნდა შემოვიდესო

„უეჭველია ისტორიული პოლიტიკური ხასიათი აქვს, და არა ისტორიულ-კულტურული და ეთნოგრაფიული".

მას ეს საკითხი არ მიაჩნია ისე უდავოთ, როგორც ეს წარმოუდგენიათ „დაშნაკელებს".

„ამ კითხვას სერიოზული გამორკვევა ესაჭიროება. იგი უნდა ყოველ მხრივ აიწონ-დაიწონოს ქართველ ხალხის რეალური საჭიროების მიხედვით, მიწა-ადგილის სიმცირის მიხედვით".

თუმცა ბ. ოვ. თუმანიანაც იმ აზრისაა, რომ ლორისი და ბამბაკი საქართველომ არ უნდა მიიკუთვნოსო, მაგრამ როგორც მისი წერილიდან სჩანს, ამ რთული საკითხის გადასაჭრელათ საჭიროა ყოველ მხრივი მოლაპარაკება და აწონ დაწონვა. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ კონფერენციის საშუალებით, თუ სომხეთის მთავრობა ბ. ოვ. თუმანიანს დაუგდებს ყურს და არა „ორიზონ"-„აშხატავორის" პუბლიცისტებს, მორიგება სომეხ ქართველთა შორის ძნელი არ იქნება.

## მერვე ყრილობა

### ს.-დ. მ. პარტიის წარმომადგენელთა.

12 ნოემბერს კრება იხსნება საღამოს 6 ნახ. საათზე: სამანდატო კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს ზ. გურული. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ კომისიას უდავოდ უცვნია 86 მანდატი. 85 დაუმტკიცებელია გადამწყვეტი ხმით—ერთი კი სათათბირო ხმით. დანარჩენი მანდატები კი ფორმალურის მხრით სადაო გახდარა და კომისიამ ყრილობას მიანდო ამ მანდატების განხილვა. ყრილობამ მოხსენების შემდეგ ეს საეჭვო მანდატებიანი დელეგატები დაუშვა ყრილობაზე სათათბირო ხმით. მათი რიცხვი არის 4. საოლქო კომიტეტის მოქმედების შესახებ მოხსენებას აკეთებს ნ. ჟორდანია, რომლის გამოსვლას ყრილობა მხურვალე და ხანგრძლივი ტაშის ცემით ხვდება.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ უკანასკნელი კონფერენციის შემდეგ ერთ წელზე მეტმა გაიარა. ამ ხნის განმავლობაში ყრილობის და პარტიის სახელით მოქმედობდა ის საოლქო კომიტეტი, რომელიც არჩეულ იყო წინა კონფერენციაზე. თქვენ იცით, რომ ამ ხნის განმავლობაში ბევრი დიდი ამბები, ცვლილებები მოხდა, საოლქო კომიტეტს კი უხდებოდა თავის პასუხისმგებლობით და „რისკით" მუშაობა. ხშირათ კომიტეტს ამხანაგები ბრალს სდებდნენ იმაში, რომ ის თავის ნებით, სხვა ორგანიზაციების დაუკითხავათ მოქმედობს და ყრილობას არ იწვევსო. მე უნდა განვაცხადო, რომ საოლქო კომიტეტმა რამოდენიმეჯერ დაადგინა კონფერენცია მოეწვიულიყო, მაგრამ მდგომარეობა ისე მიდიოდა, რომ ყრილობის ცდა და მოლოდინი შეუძლებელი იყო, ამბები თითქოს ციდან ცვივოდნენ, და უნდა მიგვეცა ყოველი მოვლენისათვის პასუხი. ამ პასუხისაგან იყო დამოკიდებული ხშირად მთელი სოფლის, კუთხის და ხალხის ყოფნა-არ ყოფნის საკითხი. ამიტომ ჩვენ არ შეგვეძლო მოქმედება შეგვეწყვიტა. დღეს კი თქვენს სამსჯავროზე გამოგვაქვს ყველა ის ნაბიჯები, რომელიც გადავდგით პარტიის სახელით.

რომ დავახასიათოთ ის პოლიტიკური განსხვავება, რომელიც იყო წინა ყრილობის დროს და არის ახლა, მე წავიკითხავთ იმ ყრილობის დღის წესრიგს. ორატორი კითხულობს დღის წესრიგს, სადაც სწერია: ბოლშევიკებთან გაერთიანება, დამფუძნებელი კრება და სხვა. და ამბობს, რომ დღეს ბოლშევიკებთან გაერთიანებას, აგრეთვე სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევას, ვინ იფიქრებს. ეს განსხვავება გვიჩვენებს, რომ თითქოს იმ ყრილობის შემდეგ გასულიყოს არა რამოდენიმე თვე, არამედ 13 საუკუნე, ეს ნათლად გვიმტკიცებს, თუ რამდენათ დავშორდით ჩვენ იმ ეპოქას. ამ ყრილობის საკითხებს არავითარი საერთო არა აქვს წინა ყრილობის დღის წესრიგთან. რას აკეთებდა საოლქო კომიტეტი ამ ხნის განმავლობაში?

ჩვენ ვეძახოდნენ ცენტრალისტებს, დიახ, ჩვენ ვიყავით ცენტრალისტები. ჩვენ ვფიქრობდით და გვწამდა, რომ რუსეთის გარდაქმნა, ძველი რეჟიმის მოსპობა და ახალის დამყარება შეიძლება ცენტრიდან და ჩვენს თავს სიამოვნებით ვუწოდებდით ცენტრალისტებს. ეს ცენტრალისტობა იყო დასახული მიზნის მისაღწევათ საშუალება. ეს მიზანი იყო სახელმწიფოში დემოკრატიული წყობილების დამკვიდრება და ამ წყობილებიდან სოციალისტურ ხანაში გადასვლა ასე ვმოქმედებდით ჩვენ ოქტომბრის გადატრიალებამდე. ამ გადატრიალებამ კი ჩვენ ნათლად დაგვანახვა, რომ ტაქტიკის შეცვლა აუცილებელი იყო.

ჩვენი იმედები გამართლდა. ძველი წესწყობილება დაიცა, მაგრამ ახალი შენობის აშენების საკითხში თავი იჩინა სხვადასხვა გზებმა. ჩვენ ამ გადატრიალებამ დაგვანახვა, რომ რუსეთში ცენტრში აღარ არის ის ძლიერი დემოკრატია, რომელსაც შეეძლოა დემოკრატიული წყობილების განმტკიცება. თვითონ რუსეთის მუშათა კლასი ძლიერი ელემენტია ამ დემოკრატიული წყობილებისათვის. როდესაც ჩვენთვის ნათელი გახდა რომ ცენტრიდან არ შეიძლებოდა დემოკრატიული წყობილების განმტკიცება, მაშინ ჩვენ გადავსწყვიტეთ ამიერ-

კავკასიის ფარგლებში გვემუშავა ამ მიმართულებით და ერთგვარი გავლენა მოგვეხდინა ცენტრზე და ქვეყანა გვეხსნა სამოქალაქო ომისა და ანარქიისაგან. 1—13 ნოემბრის საოლქო კომიტეტის სხდომის ოქმებში ჩვენ სხვათა შორის ვკითხულობთ: „ანარქიის ჩასაქრობათ შევიქენით თანხმობაში თითქმის ყველა ადგილობრივად მომქმედ პარტიებთან. ამ ხანებში ჩვენთვის ცხადი გახდა, რომ ჩვენ ცენტრის მთავრობას ვერ ვუყურებთ, ვერ მოვუცდით. ამიტომ საოლქო კომიტეტმა დაადგინა: შევუთანხმდეთ ყველა პარტიებს და შევქმნათ აქ ცენტრალური მთავრობა. ეს მთავრობა პასუხისმგებელი უნდა ყოფილიყო მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს წინაშე—ცენტრის. ჩვენ ხშირად გვიკიჟინებდნენ, რომ თქვენ წინააღმდეგი ხართ საბჭოთა მთავრობისა და იმავე დროს იმ საბჭოებს სცნობთო. ეს მართალი არ იყო. ჩვენი დამოკიდებულება საბჭოებთან ღრმად განსხვავდებოდა ბოლშევიკების დამოკიდებულებისაგან—შეხედულებისაგან. ამ საბჭოებში, ცენტრებში ხელმძღვანელ პარტიათ ჩვენი პარტია იყო. და ჩვენ შევქმენით ეს მთავრობა, მაგრამ მაინც არ ვკარგავდით იმედს იმისას, რომ რუსეთის მთლიანი რევოლიუციონური ფრონტი და ამას ხელს ვუწყობდით იმით, რომ ადგილობრივათ ორგანიზაციულად ვეწყობოდით. ამ მიზნით ჩვენ 24 ნოემბერს დავადგინეთ სახალხო კომისრებთან ურთიერთად შევთანხმებულიყავით; ჩვენ გადავწყვიტეთ აგრეთვე, რომ 8 იანვარს ჩვენი დეპუტატები გაგვეგზავნა დამფუძნებელ კრებაზე, მაგრამ რამდენიც მეტი დრო გადიოდა, მით უფრო ღრმავდებოდა ბოლშევიკების რღვევითი გავლენა. ეს რღვევა დაიწყო ფრონტიდან. მთელი ფრონტი დაიძრა და დაიბადა ოსმალეთის საფრთხის საკითხი. ჩვენ ვიცოდით, თუ რანაირი მდგომარეობა იქნებოდა და ამიტომ 6 დეკემბრის ოქმში ჩვენ ვკითხულობთ: „მოეწყოს მიტინგები ყველა პუნქტებში, სოფლებში და ხალხს მოეწოდოთ, რომ ჩაეწერონ ნაციონალურ პოლკებში, აგრეთვე აუხსნან საყოველთაო შეიარაღების საჭიროება და ოსმალეთის საფრთხე. ჯერ კიდევ მაშინ მიუთითებდა საოლქო კომიტეტი ხალხს იმაზე, რომ ოსმალეთის საფრთხის თავიდან ასაცილებლად საჭიროა შეიარაღებული ძალის ყოლა. ჩვენ როცა დავინახეთ ოსმალეთის საფრთხე გადავწყვიტეთ ნაციონალური პოლკების შექმნა, რომ ამით შეგვეჩერებინა სახლში მიმავალი ჯარისკაცები, მაგრამ მოვსტყუვდით. ბოლშევიზმმა ჩვენი ჯარისკაცებიც გარყვნა. დაიწყო დეზერტირობა. საოლქო კომიტეტმა ამას ყურადღება მიაქცია და ზომები მიიღო. როცა ამ ზომამ მიზანს ვერ მიაღწია, საოლქო კომიტეტმა დაადგინა განსაზღვრულ წლოვანების ახალგაზრდათა მობილიზაცია მომხდარიყო (19 წ.—32 წ.) და აი ამიერ კავკასიის კომისარიატმა გამოსცა დეკრეტი მობილიზაციის შესახებ. ამის წინააღმდეგ საშინელი კამპანიის წარმოება დაიწყეს მოწინააღმდეგეებმა. ეს კამპანია იმდენათ ძლიერი იყო, რომ საოლქო კომიტეტმა დაადგინა მობილიზაცია შეეჩერებინა. კომისარიატმა მობილიზაცია შეაჩერა. ამ საკითხის გარშემო ერთსულოვნება არ იყო. ჩვენ გადავწყვიტეთ მოგვეწვია ორგანიზაციათა წარმომადგენლები. გამოცხადდა 19 ორგანიზაციის წარმომადგენელი. ეს ყრილობა კომპრომისულ გზას დაადგა. მიიღო მობილიზაცია 19 წ. 25 წლამდე. მაგრამ თან გაუკეთა შენიშვნა, რომ ისეთ პუნქტებში მოხდეს მობილიზაცია, სადაც 15 დღის სარჩო-სასმელი და სამხედრო მასალა არის. ეს კი თითქმის არსად არ იყო. ამრიგათ, ამ შენიშვნამ თითქმის გააბათილა მობილიზაციის მთავარი დებულება. ოსმალეთისაგან თავის დაცვის საკითხში საოლქო კომიტეტმა ვერ ჰპოვა მხარის დაჭერა მთელს პარტიაში. მთელმა პარტიამ ეს დებულება მიიღო, მაგრამ მეტი გვიან იყო. ამ ხანებში ჩვენამდე მოაღწია ცნობამ, რომ სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება გარეკილია. მაშინ საოლქო კომიტეტმა განიზრახა აქ შეექმნა ისეთი მთავრობა, რომელსაც მხარს დაუჭერდა მთელი ამიერ-კავკასიის ხალხი და რევოლიუციონური ორგანიზაციები. 9 იანვარს კომიტეტმა დაადგინა მოეწვია სეიმი დამფუძნებელ კრების დეპუტატებისაგან, სეიმის მოწვევის იდეა დაიბადა მაშინ, როცა დამფუძნებელი კრება გარეკილ იქნა და არ იყო იმედი მთლიანი რუსეთის რევოლიუციონური ფრონტის აღდგენისა. 21 იანვარს საოლქო კომიტეტმა დაადგინა დამფუძნებელ კრების დეპუტატთა რიცხვი გადიდებულიყო სამჯერ და შეკრებილიყო სეიმი 10 თებერვალს. ამ ხანებში აქ გამოცხადდა საბჭოთა მთავრობის საგანგებო კომისარი შაუმიანი. მაშინ ჩვენს წინ დადგა საკითხი ბოლშევიკებთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტისა და 25 იანვარს დადგენილ იქნა გაგვეწყვიტა ბოლშევიკებთან ყოველგვარი კავშირი და მათ წინააღმდეგ მიგვეღო რეპრესიული ზომები. ამ ხანებში ჩვენ მივიღეთ დეპეშა ოსმალთა მთავრობისაგან, რომლითაც ისინი თანხმობას აცხადებდნენ საზავო მოლაპარაკებაზე. საოლქო კომიტეტი ცდილობდა ეს მოლაპარაკება გამართულიყო ან თფილისში, ან უკრაინაში, მაგრამ მათ არ მიიღეს ეს და საზავო მოლაპარაკების ადგილათ დაინიშნა ტრაპიზონი, მიუხედავად ყოველგვარ საზავო მოლაპარაკებისა, ოსმალებმა დაიწყეს შეტევა. მაშინ ყველამ დაინახა ოსმალეთის საფრთხე და ყველა თანახმა იყო მობილიზაციის, მაგრამ გვიან ღა იყო. და თქვენ იცით თუ რით გათავდა ყველაფერი ეს. მოლაპარაკებიდან არაფერი არ გამოვიდა დელეგაცია თფილისში დაბრუნდა. როგორც სომეხი, ისე ქართველი დელეგატები ამბობდნენ, რომ ხსნა მხოლოდ ამიერ კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადებაშია. ამ საკითხმა დიდი უთანხმოება გამოიწვია. თავდაპირველად საოლქო კომიტეტში ასეთი აზრი იყო, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადება საქმეს სრულებით არ უშველის, მაგრამ პროვინციალური ამხანაგები ამას აუცილებელ ნაბიჯათ და საჭიროთ სთვლიდნენ. საოლქო კომიტეტმა დაადგინა ენერგიულად გაეწარმოებია თავდაცვა და განსაკუთრებული უფლებებით აღეჭურვა ჩვენი ამხანაგები მთავრობაში. ამას ხმა მისცა 14 კაცმა შვიდის წინააღმდეგ. ცხრა აპრილს დავადგინეთ გამოცხადება ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობისა. მე მაშინ თავი შევიკავე, პრინციპიალურად არაფერი არ მქონდა ამის საწინააღმდეგოთ, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა მდგომარეობას იმდენათ არ შესცვლიდა, როგორც ეს სხვებს ეგონათ. ამიერ კავკასია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა. ამ გარემოებამ უთანხმოება გამოიწვია პარტიულ ორგანიზაციაში. დამოუკიდებლობის გამოცხადებამ ჩვენ ვერ გვიხსნა. ოსმალებმა შეტევა განაგრძეს და თქვენ იცით ბათუმის ბედი. იმ ხანებში ნათელი გახდა, რომ ამიერ-კავკასიის მთლიანობა დაირღვა და მისი არსებობა ფიქცია იყო. მაშინ 24 მაისს ჩვენ გამოვიტანეთ რეზოლიუცია საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების შესახებ, იმ პირობით, თუ ნემცები მოგვცემდნენ გარანტიას ოსმალებისაგან დაცვისას. 26 მაისს, თქვენ იცით, სეიმმა თავი დაშალა და გამოაცხადა და საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა. საქართველოს დამოუკიდებლად გამოცხადების საკითხს თითქმის სულ არ გამოუწვევია უთანხმოება. მხოლოდ ზოგიერთმა ამხანაგებმა გ. ზ. „ბორბის" სარედაქციო კოლეგიიდან განცხადება შემოიტანეს კოლეგიიდან გასვლის შესახებ და პარტიულმა ამხანაგებმა — ლიტერატორებმა — დაიარსეს ცალკე ორგანო, ვიმეორებ ეს გარემოება შეეხო მხოლოდ ლიტერატორთა ერთ ჯგუფს. აი ამ. ის ძირითადი პოლიტიკური ხაზი, რომელსაც აწარმოებდა საოლქო კომიტეტი. რა საკვირველია, საოლქო კომიტეტი ღებულობდა მონაწილეობას და მის ხელმძღვანელობით ხდება ყველა საერობო და საქალაქო თვითმართველობების არჩევნები. ის ხელმძღვანელობას უწევდა ყველაფერს და ამიტომ ძველი წყობილებიდან ახალ წყობილებაში გადავედით—დღეს დემოკრატიული წყობილება გვაქვს ამას იმიტომ ვწვრებოდით, რომ ჩვენ გვწამდა დიადი მომავალი პროლეტარიატისა განხორციელდებოდა დემოკრატიის საშუალებით და ამიტომ მხარი ვერ დავუჭირეთ ბოლშევიკებს, რომელნიც მუდამ გამოდიოდნენ დემოკრატიის მტრებათ. დღეს გერმანიაში რევოლიუცია ხდება. იქ ჯერ ჯერობით სწორეთ დემოკრატიული გზით მიმდინარეობს მოძრაობა. ჩვენ ამ ამხანაგებთან წავალთ, მაგრამ არას გზით არ შეგვიძლია სიარული რუსის ბოლშევიკებთან (ძლიერი ტაში). თუ გერმანიის რევოლიუცია წავიდა ბოლშევიკური გზით, მაშინ ის რევოლიუცია აუცილებლათ დამარცხდება. და თუ დემოკრატიული გზით წავიდა — ჩვენც, როგორც ვთქვი, მათთან ვიქნებით (ხანგრძლივი ტაში).

საოლქო კომიტეტის და პარტიულ პრესის ანგარიშებზე მოხსენება გააკეთა ვ. წულაძემ. ანგარიშიდან სჩანს, რომ მატერიალური მდგომარეობა საოლქო კომიტეტისა ვერ არის უზრუნველყოფილი. პარტიული ორგანიზაციები თავის მოვალეობას პროცენტების გადახდის შესახებ არ ასრულებენ წესიერათ, რის გამო საოლქო კომიტეტი მატერიალურ სიძნელეს განიცდის, რაც აფერხებს პარტიულ მუშაობას. პარტიული გაზეთების მატერიალური მდგომარეობაც ვერ არის სანუგეშოთ, გარდა გაზეთ „ერთობისა", რომლის შემოსავალი ფარავს გასავალს, რაც ამ დიდი სიძვირის დროს დიდ საქმეთ უნდა ჩაითვალოს. მომხსენებლის აზრით ეს აიხსნება მით რომ „ერთობის" კანტორამ დროიანათ შეიძინა ქაღალდი შედარებით იაფათ და ამან უზრუნველყო გაზეთის არსებობა. გაზეთის ტირაჟი ამ ჟამათ უდრის 6,000 ცალს, შარშან გაცილებით მეტი გადიოდა. ტირაჟის დაცემა აიხსნება, ტერიტორიის შემოკლებით და გაზეთის მიწოდების მოუწყობლობით, ფოსტა ტელეგრაფის და ტრანსპორტის არევ დარევით. გაზეთ „ბორბას" ტირაჟიც 5—6000-მდე აღწევს. გაზეთს დიდი დეფიციტი აქვს. დღიდან გამოცემისა გაზეთის დეფიციტი 60,000 მანეთამდე აღწევს. თათრული გაზეთი „გელიჯეტიც" საოლქო კომიტეტის დახმარებით გამოდის, იბეჭდება 400—500 ცალი. გარდა საქართველოს ტერიტორიისა, გასავალი არ აქვს პოლიტიკის მიზეზებით. სომხური გაზეთი „პაიკარი" ც უსახსრობისა და მკითხველების უყოლობის გამო ამ წლის დასაწყისში დაიკეტა. საოლქო კომიტეტი ეძებს საშუალებას კვლავ იქონიოს ორგანო სომხურ ენაზე. საკანტროლო კომისიის მოხსენების შემდეგ ანგარიშები დამტკიცებულ იქნა. კრების ზოგიერთმა წევრმა იკითხეს თუ რატომ გაზეთში არ იყო ანგარიშები დაბეჭდილი. მომხსენებელმა უპასუხა, რომ საკანტროლო კომისიის მიერ ანგარიშების განხილვამდე დაბეჭდვა შეუძლებელი იყო და აწი კი თუ ამხანაგები მოისურვებენ, დამტკიცებულ ანგარიშს გამოვაქვეყნებთო.

(შემდეგი იქნება)

## გერმანიის დელეგაციის ცნობები

თფილისი, 13 ნოემბერი.

### ვილჰელმის გადადგომის შესახებ.

რამდენადაც ირკვევა იმპერატორი ვილჰელმი ოფიციალურად ჯერ არ გადამდგარა, მხოლოდ ის ჩამოშორებულია მართვა-გამგეობას, სანამ მოწვეულ იქნება გერმანიის დამფუძნებელი კრება. ეს იქიდან სჩანს, რომ აქამდე არ არის არავითარი ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ამ შემთხვევაში ხოლმე მიღებულია: იმპერატორმა მანიფესტით უნდა აუწყოს ხალხს, რომ ის ტახტიდან ჩამოვიდა, როგორც ეს მაგალითად რუსეთში მოხდა. ამას გარდა, ახალი მთავრობის მეთაურის ებერტის მოწოდებაშიც ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. ასე რომ, ალბად, დამფუძნებელი კრება გადასწყვეტს საბოლოოდ ამ საკითხს.

### ბავარიაში და საქსონიაში.

ბავარიის მეფე ლიუდვიგ III გადადგა ტახტიდან, აგრეთვე გადადგა საქსონიის მეფე ფრიდრიხი. ორივე სამეფოში რესპუბლიკანური წესწყობილება გამოცხადდა.

### დროებითი ზავის პირობები.

დაწვრილებით ის პირობები, რომლებიც მოკავშირეებმა გერმანიას წარუდგინეს და რომელზედაც ის დასთანხმდა და ხელი მოაწერა, რასაც შედეგათ დროებითი ზავის ჩამოგდება მოჰყვა ყველა ფრონტებზე, ალბად ამ დღეებში მოვა დაწვრილებით. ეს პირობები გერმანიისთვის მეტად ძნელია. დაახლოვებით შემდეგი მუხლებია: 1) მდინარე რეინის მთელი მარცხენა ნაპირი გერმანიამ უნდა დასცალოს და მას იჭერს მოკავშირეთა ჯარები; 2) რეინის ხაზზე რომ ციხე-სიმაგრეებია, ამათაც ოკუპაციას უჭერენ მოკავშირეთა ჯარები; 3) რეინის მარჯვენა ნაპირზე, 30 კილომეტრის მოშორებით იქნება ნეიტრალური ხაზი; 4) გერმანიამ უნდა დაუბრუნოს მოკავშირეებს 150 ათასი სარკინიგზო ვაგონი (გერმანიას ომის დროს წაღებული აქვს 90 ათასი ვაგონი ბელგიიდან და 60 ათასი—საფრანგეთიდან); 5) გერმანიამ უნდა დაუბრუნოს მოკავშირეებს სამხედრო ფლოტის ნაწილი; 6) გერმანიამ უნდა შეუშვას მოკავშირეთა ფლოტი კატეგატში; 7) გერმანიამ უნდა დაუბრუნოს მოკავშირეებს სამხედრო მასალის დიდი ნაწილი; 8) გერმანიის სანაპიროებს მოკავშირეთა ფლოტი ბლოკადას უწერება; 9) აღმოსავლეთით გერმანიამ ჯარებს უნდა დაახევინოს 1914 წლის, 1-ლ აგვისტოს საზღვრებამდე. დასავლეთის ფრონტზე პირობებში აღნიშნულ საზღვრამდე გერმანიამ უნდა დაახევინოს ჯარს ორი კვირის განმავლობაში—ესაა ვადა მიცემული. რაც შეეხება აღმოსავლეთს—აქ ვადა არაა დადებული: ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ მოკავშირეებს შიში აქვთ, რომ თუ ვინიცობაა გერმანული ჯარები აღმოსავლეთით უცებ გავლენ (მაგ. უკრაინიდან, ბელორუსეთიდან და სხვ.) იქ ბოლშევიზმი გაძლიერდება. შეიძლება მათ განზრახვაც ჰქონდეთ, რომ თანდან მიმავალი გერმანიის ჯარები ამ ტერიტორიებზე შესცვალონ თავის ჯარებით.

### რა მიზანი აქვთ მოკავშირეთა პირობებს?

რასაკვირველია ეს პირობები დროებითი ზავისა კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ საერთაშორისო კონგრესზე როცა სამუდამო და საერთო ზავის პირობები გამომუშავდება—არ შეიცვლება. ინგლისი მაგალითად თავისდღეში არ დასთანხმდება იმაზე, რომ რეინის მთელი მარცხენა ნაპირი საფრანგეთს ეჭიროს. ამ პირობებს მხოლოდ ის მიზანი აქვთ, რომ მოუსპონ გერმანიას ყოველგვარი საშუალება და შესაძლებლობა, რაიმე წინააღმდეგობის გაწევისა ან და კიდევ ომის წარმოებისა.

### აღნიშნული პირობები და საქართველო.

ეხება თუ არა აღნიშნული მუხლი (აღმოსავლეთიდან ჯარების გაყვანა) საქართველოსაც, ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია. ამის გამო დელეგაც. თავმ. გენ. კრესმა დეპეშა გაუგზავნა ბერლინში მთავრობას, სადაც მოითხოვს განმარტებას: გაიყვანოს თუ არა მიღებული პირობების ძალით ჯარები საქართველოდან. პასუხი ჯერ არ მოსულა. ალბად საქართველოში მყოფ ჯარებსაც ეხება ეს პირობები და ჯარები საქართველოს მალე დასცლიან.

### შეთანხმების სახელმწიფონი და საქართველო.

შეთანხმების სახელმწიფოებმა მალე უნდა გამოარკვიონ, თუ როგორია მათი დამოკიდებულება საქართველოს სახელმწიფოსადმი: სთვლიან ისინი მას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ თუ არა. ფაქტიურად ისინი უნდა დათანხმდენ საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკათ ცნობაზე. თუ ეს ასე იქნება, ისინი, რასაკვირველია, მოითხოვენ გერმანიის ჯარების გაყვანას საქართველოდან და მაშინ აქ დარჩება მხოლოდ დიპლომატიური წარმომადგენლობა გერმანიისა. სულ მალე გამოირკვევა, თუ როგორ უყურებს ინგლისი და საერთოდ შეთანხმების სახელმწიფონი წვრილ ერთა თვითგამორკვევას.

### როგორ შეხვდენ გერმანიაში აღნიშნულ პირობებს?

გერმანიის სოციალისტურმა პარტიებმა და სოციალისტურმა ახალმა მთავრობამ მიმართეს შეთანხმების სახელმწიფოების სოციალისტებს და დემოკრატიას, რომ აღნიშნული პირობები გერმანიისთვის, მეტად ძნელია, უმთავრესად ბლოკადა, რომელიც ეკონომიურად გერმანიას დაამუხრუჭებს, და მოითხოვენ მათგან, რომ აიძულონ თავიანთი მთავრობანი მომავალ საზავო კონგრესზე დემოკრატიული ზავის პირობების მისაღებად.

გერმანიის ახალმა მთავრობამ რომ მიიღო ეს პირობები, ამით მან აშკარად დაამტკიცა, რომ მას განზრახვაც არა აქვს რაიმე ომის წარმოებისა.

### ახალი მთავრობა და ჰინდენბურგი.

გერმანიის ახალმა მთავრობამ გაუგზავნა დეპეშა ჰინდენბურგს, რომ ის დარჩეს ისევ მთავარ სარდლათ და განაგრძოს თავის მოვალეობათა აღსრულება. ამავე დეპეშაში ნათქვამია, რომ ჯარისკაცები მოვალენი არიან დაიცვან დისციპლინა, წეს-რიგი და აუცილებლად დაემორჩილონ თავის პირდაპირ უფროსებს და აფიცრებს. ჯარს უბრძანებენ, რომ დაიხიოს აღნიშნულ საზღვრებამდე სრული წესრიგით.

### ჰინდენბურგის ბრძანება.

ჰინდენბურგმა ბრძანება გამოსცა, რომ ის ახალი მთავრობის ბრძანებით რჩება მთავარსარდლათ და მოუწოდებს ჯარს დისციპლინა დაიცვას.

### აღმოსავლეთის ფრონტის ჯარისკაცთა საბჭო.

ქ. კოვნოში დაარსდა აღმოსავლეთის ფრონტზე მყოფ ჯარისკაცთა საბჭო. მან გამოუშვა მოწოდება ყველა ჯარისკაცთა მიმართ. საბჭო აფრთხილებს ჯარს, რომ ანარქია არ შეჰქმნან, იგი მოუწოდებს ყველა ბოლშევიკურად განწყობილი ელემენტები ჯარისკაცებმა განდევნონ თავის წრიდან, რომ დაიცვან მათ დისციპლინა და დაემორჩილონ უფროსთა განკარგულებებს. ყველა ჯარისკაცი უნდა დარჩეს თავის ნაწილში. ყველა ჯარისკაცი უნდა დაემორჩილოს საბჭოს და საბჭოების მიერ იქნება გამომუშავებული და დისციპლინარული წესდებებით.

### გერმანიის უმაღლესი მთავრობის შემადგენლობა.

გერმანიის უმაღლესი მთავრობა შესდგება 6 პირისაგან: რეიხს-კანცლერად არის ებერტი (სოციალ დემოკრატიულ მუშათა პარტიის წარმომადგენელი) აგრეთვე შეიდემანი და ლანცბერგი, მეორე სამი პირი არიან დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები; ესენი არიან: ჰააზე, დიტმანი და ბარტი, მინისტრებად ისევ ძველები არიან. სამინისტროებში ძველები მუშაობენ. სტატს-სეკრეტარიც ძველია. მხოლოდ ყველა სამინისტროს უმაღლეს კანტროლს და ხელმძღვანელობას უწევს აღნიშნული 6 პირი. ჰინდენბურგთან გაგზავნილ ტელეგრამას ყველა 6 უწერია ხელი.

### საქართველოში მყოფი გერმანული ჯარები.

ჯარისკაცები მშვიდობიანათ შეხვდენ ამ ამბავს. მათ სურვილი აქვთ სამშობლოში დაბრუნებისა და ეს სურვილი უკვე ამცნეს დელეგაციას. არიან ისეთი ჯარისკაცები, რომელთა სამშობლო რეინის მარცხენა ნაპირია. ბუნებრივია, რომ მათ აწუხებთ იმ ადგილების ბედი, რადგანაც იქ მათი სახლობა და მშობლები ჰყავთ.

### აკაკი ჩხენკელი ბერნში.

აკაკი ჩხენკელი ბერლინიდან ბერნში (შვეიცარია) გაემგზავრა, რომ იქ მოელაპარაკოს შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენლებს საქართველოს შესახებ.

### საქართველოს დამოუკიდებლობა და გერმანიასთან დადებული ხელშეკრულებანი.

— თუ შეთანხმების სახელმწიფოებმა იცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა, რასაკვირველია ყველა ხელშეკრულებანი გერმანიასთან ეკონომიური ხასიათისა ძალაში დარჩება.

### დაშნაკცუთიუნის კამპანიის შესახებ.

იმ კამპანიის გამო, რომელიც ასტეხა დაშნაკელთა პრესამ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ ლტოლვილთა საკითხის გარშემო—დელეგაციის თავმჯდომარეს კრესს წარუდგინ კერძო პირები და სთხოვეს მას გავლენა მოეხდინა საქართველოს მთავრობაზე ამ მხრივ. გენ. კრესსმა მიმართა სომხის დიპლომატიურ წარმომადგენელს საქართველოში ბ. ჯამალიანს დაწვრილებითი ცნობების შესახებ. ბ. ჯამალიანმა უპასუხა, რომ ეს კითხვა არც კი არსებობს, რადგანაც საქართველოს მთავრობის მხრივ რამე არ დაშვებას ლტოლვილთა, ახალქალაქის მაზრაში დაბრუნებისთვის ადგილი არ ჰქონიაო. ჯამალიანმა აღნიშნა, რომ მას არაფერი აქვს სათქმელი მთავრობის ზომების და მოქმედების საწინააღმდეგო. გენ. ფონკრესსმა თანაგრძნობის აღსანიშნავად ლტოლვილთათვის შესწირა სომხურ ეროვნულ საბჭოს 100 ათასი მანეთი ფულად და ერთი ვაგონი ფქვილი.

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

13 ნოემბერი

### გერმანული პრესის ცნობები.

საქსონიიდან მოსულ ცნობების თანახმად, იქ ახალი სახალხო მთავრობა შემდგარა. მეფე ტახტიდან გადადგა. ყველა მინისტრები გადადგნენ.

იმპერატორი და კრონპრინცი ავტომობილებით მაასტრიხტში მივიდნენ და ელიან ჰოლანდიის მთავრობის ნებართვას, რომ ჰოლანდიაში იცხოვრონ.

ჰოლანდიიდან მოსული ცნობა, ვითომც გენერალ ფელდმარშალი ფონ ჰინდენბურგი ჰოლანდიაში მისულიყოს, სიმართლეს არ შეეფერება. ჰინდენბურგი იმყოფება მთავარ ბანაკში და მოქმედობს ახალ მთავრობის თანხმობით.

ორ სოციალისტურ პარტიის შორის მოლაპარაკება კვირას, 10 ნოემბერს, შეთანხმებით დასრულდა. მიღებულ იქნა დამოუკიდებელ სოც.-დემ. მოთხოვნილებები. ამის შემდეგ ახალი სახალხო მთავრობა, რომელშიაც უმთავრესად შედიან სოც. დემ.: ებერტი, შეიდემანი, ლანდსბერგი და დამოუკიდებელი სოც.-დემ. ჰააზე, დიტმანი და ბარტი. მინისტრთა კაბინეტში, რომელშიც მხოლოდ სოციალისტები შედიან, შევლენ კიდევ მთავარ დეპარტამენტების მინისტრები ბურჟუაზიულ პარტიებისგან. ყოველ მთავარ დეპარტამენტის მინისტრთან დანიშნული იქნება თანასწორ უფლებით თითო წევრი ორივე სოციალისტურ პარტიათაგან. ორ ჯგუფის შეკავშირებას ბერლინის მცხოვრებნი სიხარულით შეხვდნენ. ეს შეკავშირება მიიღო დიდი ხმის უმეტესობით მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ, რომლის სხდომასაც 3000-მდე კაცი დაესწრო. ებერტი და ჰააზე ლიდერებათ ითვლებიან. კაბინეტში, რომელსაც სახელათ დაერქვა „სახალხო კომისართა საბჭო". წინანდელი რეჟიმის ადგილი როგორც ამის შესახებ უკვე იყო ცნობა 9 ნოემბერს ბერლინში ახალმა მთავრობამ დაიჭირა და შესდგა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო. რევოლიუციონური მოძრაობა მთელ გერმანიაში ძლიერდება. ცნობები მოდის, რომ ყველგან მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები სდგება. რევოლიუციონური მოძრაობა საერთოდ სწარმოებს უმტკივნეულოდ და უსისხლოთ, ბევრგან სამხედრო და ქალაქის ადმინისტრატორებმა დაუყოვნებლივ იცნეს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები. ზოგ ქალაქში დემონსტრაციები და გაფიცვები მოხდა, რომლებმაც საერთოდ მშვიდობიანათ ჩაიარა.

10 ნოემბერს დილის 10 საათზე სტატს-სეკრეტართა თათბირი შესდგა. დროებითი ზავის დებულებათა გადასინჯვის შემდეგ, დროებითი ზავის პირობები მიიღეს. სამშვიდობო დელეგაციის შესაფერი ცნობები მისცეს. 11 ნოემბერს ღამით ვაშინგტონში სტატს-სეკრეტარს ლანსინგს შემდეგი ნოტა გაუგზავნეს: „ბატონო, სტატს-სეკრეტარო, გერმანიის მთავრობა დარწმუნებულია, რომ გერმანიას და ამერიკას საერთო დემოკრატიული მიზნები—იდეალები აქვს. შეერთებულ შტატების პრეზიდენტს გერმანიამ წინადადებით მიმართა მშვიდობიანობა და ზავი აღადგინოს. ზავი უნდა შეეფერებოდეს იმ პრინციპებს, რომელთაც იზიარებდა თვით პრეზიდენტი და რომელნიც ჰგულისხმობენ ყველა სადავო საკითხების სამართლიანად გადაჭრას და ხალხთა შორის მტკიცე ზავს. შემდეგ, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ის ვერ გაბედავდა გერმანიის ხალხთან ომს და რომ მას განზრახვა არა აქვს ხელი შეუშალოს გერმანიის ხალხის მშვიდობიან განვითარებას. გერმანიას მოუვიდა დროებითი ზავის პირობები. 50 თვის ბლოკადის [illegible] და განსაკუთრებით სატრანსპორტო ფლოტის [illegible] კადა გრძელდება სურსათის მხრივ, გერმანიას უკიდურეს მდგომარეობაში ჩააყენებს და რამოდენიმე მილიონ მამაკაცის ქალისა და ბავშვის შიმშილისაგან სიკვდილს გამოიწვევს. ჩვენ იძულებულნი ვართ პირობები მივიღოთ. ჩვენ სერიოზულათ მივაქცევთ პრეზიდენტ ვილსონის ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ამ პირობების ცხოვრებაში გატარება გერმანიის ხალხში გამოიწვევს იმის საწინააღმდეგო გრძნობას, რომელიც შეადგენს აუცილებელ პროლოგს ხალხთა ლიგის დასაარსებლათ და სამართლიან ზავის უზრუნველსაყოფათ. ამის გამო გერმანიის ხალხი ამ უკანასკნელ საათში ერთხელ კიდევ მიმართავს პრეზიდენტს დაჟინებითი თხოვნით, რომ მან მოკავშირეებთან ერთად გადასინჯოს და გააუმჯობესოს ის პირობები, რომელიც აუტანელი და მძიმე გერმანიისათვის.

მთავარი ბანაკი ატყობინებს ჯარისკაცთა საბჭოს გამბურგში: „ჯარისკაცთა საბჭოები ფრონტზედაც დაარსდა. საბჭოს დაარსება მშვიდობიანათ ჩატარდა. ჯარისკაცთა საბჭოს კავშირი აქვს ფელდმარშალ ჰინდენბურგთან და თავის პირობები წარუდგინა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებთან ერთად 10 ნოემბერს. რეიხსტაგში დაარსდა „მშრომელ ინტელიგენტთა საბჭო". ინტელიგენტთა საბჭო კულტურულ-პოლიტიკურ იდეალების სასარგებლოთ მუშაობს და მიზნათ აქვს სოციალისტურ რესპუბლიკის დაარსება.

## საქართველოს პარლამენტი

### 12 ნოემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ნ. ჩხეიძე.

მდივანი კითხულობს დღის წესრიგს, რომელიც უცვლელად მიიღო პარლამენტმა.

თანახმად შ. ამირაჯიბის მოხსენებისა უკამათოდ მიიღეს საბოლოვო ტექსტები შემდეგ კანონ პროექტების:

1) სახელმწიფო ხაზინის მოწყობის შესახებ, 2) სახელმწიფო ქაღალდების მზებდავ ექსპედიციის ხარჯთ-აღრიცხვა, 3) სათამაშო ქაღალდებზე სახელმწიფო მონოპოლიის გამოცხადება, 5) გასართობებზე და სანახაობებზე შესასვლელ ბილეთების გადასახადთა შემოსავლის ხაზინაში ჩარიცხვა, 5) 1915 წ. 22 ნოემბრის (ბილეთებზე სამხედრო გადასახადის) კანონის შეცვლა.

გრძელდება კამათი კანონ-პროექტის სხვა და სხვა უწყებათა სკოლების განათლების სამინისტროს უწყებაში გადაცემის შესახებ.

რ. გაბაშვილი (დამ. ნაც. დ.) არ ეთანხმება მომხსენებელს, რომ სამეურნეო სკოლები დარჩნენ მიწათ მოქმედების სამინისტროს ხელში, მოითხოვს, რომ ეს სკოლებიც გადაეცეს განათლების სამინისტროს. ორატორის აზრით, მიწათმოქმედების სამინისტრო ვერ დააყენებს სასურველ ნიადაგზე სკოლების საქმეს, რადგანაც მის უწყებაში ადგილები უცხო მეცნიერთა და სპეციალისტთ უკავიათ და სკოლებსაც, ალბათ, ესენი გაუძღვებიანო.

შ. ნუცუბიძე (ს. ფ.) აღნიშნავს, რომ არ უნდა იყოს გასაკვირველი, როდესაც მემარცხენე ჯგუფი ილაშქრებს ამა თუ იმ სამინისტროს წინააღმდეგ. მართალია, ჩვენ სრულ ნდობას უცხადებთ მთავრობას და მასთან ვთანამშრომლობთ, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ საქმიანი კრიტიკა არ ვაწარმოვოთ მის წინააღმდეგ. ორატორის აზრით შემცდარია ის აზრი, ვითომც თვალსაჩინო ეკონომიის სანიმუშო მამულების დამუშავება სამეურნეო სკოლებმა უნდა აწარმოვონ. სანიმუშო მამულები მხოლოდ საჩვენებლად არის. მის დამუშავება მოწაფეების მიერ გააპარტახებს მამულებს. სამეურნეო ცოდნის შეძენა დაუმუშავებელი მიწის ნაჭრებზე უნდა სწარმოებდეს. ორატორი აღნიშნავს, რომ მართალია, დასავლეთ ევროპაში სამეურნეო სკოლები მიწათმოქმედების სამინისტროს ხელშიაც არის, მაგრამ პედაგოგიკაში არის ტენდენცია ეს სკოლებიც გადავიდეს განათლების სამინისტროს ხელში. დასასრულ თავის სიტყვისა, ნუცუბიძე აღნიშნავს, რომ მიწათმოქმედების სამინისტრო ეს ბუდეა ყველა ჯურის ხალხისა, რომელნიც ჩვენი ორიენტაციის არ არიან და არც სწამთ საქართველოს დამოუკიდებლობა. ჩამოთვლის იმ პირთ, რომელთაც მიწათმოქმედების სამინისტროში უჭირავთ ადგილი: მიშჩენკოს, სოსნოვსკის და სხვა. ეს პირნი ქართულ ორიენტაციის არ არიან და ვშიშობთ, რომ ეს პირნივე მოექცევიან სკოლის სათავეში. მიწათმოქმედების სამინისტრო, ალბათ, განაცხადებს, რომ არ გვყავს საკმაო ქართველი მეცნიერები და იძულებული ვიქნებით უცხოელნი მოვიწვიოთო. ასეთი მეცნიერნი კი ჩვენ გვყავს პროფ. მელიქიშვილი: ტყის საქ-

მის კარგი მცოდნე პროფ. ქურდიანი, მიწათმოქმედების სამინისტრო კი სხვა პირთ მოიწვევს.

**მ. მაჩაბელი.** (ეამ. ნაც. დემ.) ჩვენ თქვენ მემარჯვენეებს გვიწოდებთ. მართალია, ჩვენ მემარჯვენეები ვართ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ რუსეთის მემარჯვენეები თავიანთ კეთილდღეობას ამყარებდნენ ძლიერ" მთავრობაზე, ჩვენ კი არა ვართ მომხრენი ძლიერი მთავრობისა. აქ აღნიშნავენ, რომ არსებობს მიწათმოქმედების სამინისტროსთან მოწყობილი აპარატი. ეს აპარატი უვარგისია ჩვენი ცხოვრებისათვის. ის პირნი, რომელნიც მიწათ მოქმედების სამინისტროში არიან, არ აქცევდნენ სათანადო ყურადღებას ჩვენს მიწის დამუშავებას. მოითხოვს, რომ სკოლა სამეურნეო გადაეცეს განათლების სამინისტროს.

**შ. ქარუმიძე.** აღნიშნავს, რომ სამეურნეო სკოლას პრაქტიკული ხასიათი აქვს, იმ ქვეყნებში, სადაც მეურნეობა დაბალ საფეხურზე სდგას, სამეურნეო სკოლებიც მიწათ მოქმედების სამინისტროსთან არიან, ეს უფრო მიზან შეწონილია. ორატორი არ ეთანხმება თავის ფრაქციის წარმომადგენლებს და იზიარებს მომხსენებლის დებულებას, სამეურნეო სკოლები მიწათ-მოქმედების სამინისტროს ხელში დარჩეს.

**ნ. ხომერიკი** (მიწ. მოქ მინ.) აქ, ბატონებო, პარლამენტის წევრს მიეწოდებია ისეთი ცნობები, რომელიც არ შეეფერება სინამდვილეს. მე გადმომცეს, რომ აქ პარლამენტის ტრიბუნიდან განაცხადეს, რომ ქართველ მეცნიერთ მიწათ-მოქმედების სამინისტრო არ აძლევს ადგილსო, მხოლოდ რუს მეცნიერთ აქვთ ჩვენ სამინისტროში ღია კარები და ისეთ პირებს, რომელნიც ჩვენ დამოუკიდებლობის წინააღმდეგ არიანო. აქ დაუსახელებიათ ერთი პროფესორი ტყის კარგი მცოდნე ქურდიანი, რომელსაც ჩვენ ადგილი არ მივეცითო. უნდა მოგახსენოთ, ბატონებო, რომ ჩვენ ვიცნობდით პრ. ქურდიანს, როგორც მეცნიერს და ტყის საქმეების საუკეთესო მცოდნეს. ჩვენ გამოვიწვიეთ რადიოთი იგი რუსეთიდან, და დავნიშნეთ სატყეო უფროსათ. პირიქით, ჩვენ მას ვეძებდით, რადგანაც ვიცნობდით მას თავის სამეცნიერო შრომით და დღეს იგი ერთი უდიდესი განყოფილების უფროსათ არის დანიშნული. მის ხელშია ის კურსები, რომელმაც ტყის საქმეთა მცოდნენი უნდა მოგვიმზადონ (ლესნიჩები). დაუსახელებიათ ტიმოფეევი. არ ვიცი ვინ არ იცნობს მას. მის შრომაზე და გამოკვლევებზე აღიზარდა ჩვენი ახალგაზრდობა. ჩვენ არ გვაქვს შეძლება ვიკითხოთ, გამოვიკვლიოთ, ვინ რომელი ორიენტაციისა არის. თუ აშკარად ცხადი იქნება, რომ რომელიმე მოსამსახურე ეწევა აგიტაციას ჩვენი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ჩვენ, რასაკვირველია, მივიღებთ ზომებს მათ წინააღმდეგ. ტიმოფეევი არის სწორედ ჩვენი ორიენტაციის მომხრე. ყველა ეს მეცნიერნი მუშაობენ ბოტანიკურ ბაღში, რომლის შრომითაც სარგებლობენ არა თუ ჩვენში და რუსეთში, არამედ—უცხოეთშიაც. ესეც საკმარისია, რომ ამ ბაღს ყურადღებით მოვეპყრათ.

გაუგებრობაა იმის თქმა, რომ იქ ხალხი არაფერს აკეთებს. რაც შეეხება უწყების გაქართულებას, წინა კრებაზე აღვნიშნე, რომ ჩვენი უწყება მოითხოვს სპეციალისტებს, რომლებიც საკმაოთ არ მოგვეძებნებიან. აქ დაუსახელებიათ პრ. მელიქიშვილი, მაგრამ მე მივმართე თხოვნით, რომ ხელმძღვანელობა გაეწია ქიმიურ ლაბორატორიისათვის, რაზედაც ის დასთანხმდა. თუ ჩვენში არის სამეცნიერო ძალა, ჩვენ მას მივმართავთ. მეცნიერება ყველასათვის არის საჭირო და ისეთ ხალხისთვისაც, ვინც მეცნიერებათ გუშინ გახდნენ. (ტაში). კამათი შესწყდა.

**მომხ. ნ. ცინცაძე.** პრინციპი სკოლების გაერთიანებისა არსებობს თანამედროვე პედაგოგიკაში, მხოლოდ რეალიზაცია ამ პრინციპისა არსად არ არის სავსებით გატარებული. გერმანიაში სამეურნეო სკოლები ექვემდებარებიან სამეურნეო საზოგადოების განათლების ცენტრს. ექვსი უმაღლესი სასწავლებელი კი მიწათმოქმედების სამინისტროს ხელშია; მიუხედავად იმისა, რომ უმაღლეს სასწავლებლებში თეორეტიულ საგნებს უფრო ფართო ადგილი აქვთ დათმობილი, შეერთებულ შტატებში არც კი არსებობს განათლების სამინისტრო. ყველა შტატებში არსებობს აგრონომიული ცენტრები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ეგრედ წოდებული პრეზიდენტები. აგრარულ რეფორმის განხორციელებას, რასაკვირველია, აქვს დიდი კავშირი სამეურნეო ცოდნასთან, მის განხორციელებას ესაჭიროება სამეურნეო მეცნიერების კარგად დაყენება. სწორედ მიზანშეწონილებაც გვიკარნახებს დავტოვოთ სამეურნეო სკოლები მიწათმოქმედების სამინისტროს ხელში. ამ სამინისტროსთან არსებობს სპეციალური კომისია, რომელშიაც შედიან მცოდნე აგრონომები და ეს მცოდნე პირნი გაუწევენ ხელმძღვანელობას ამ სკოლებს. რომ არსებობდეს განათლების სამინისტროსთან ასეთი აპარატი, მაშინ დავტოვებდით სკოლას მის ხელში. სამიწათმოქმედო სამინისტროში კი არსებობს აპარატი, რომელიც სხვა მიზნებსაც ემსახურება. რაც შეეხება ფედერალისტებს და დამოუკიდებელ ნაციონალ-დემოკრატებს, ისინი ყოველთვის მიწის დეკრეტს ებრძვიან. მათი არსებობა დამოკიდებულია სწორედ ამ დეკრეტზე, თუმცა თავიანთ თავს დამოუკიდებელ ნაციონალ დემოკრატებს უწოდებენ.

მიიღეს კანონ პროექტი კომისიის რედაქციით. სოც. დემ. შესწორება, რომ სამეურნეო სკოლები არ იყოს მიწადმოქმედების სამინისტროს ხელში, არ მიიღო პარლამენტმა.

**კანონ პროექტი პირველ დაწყებითი სასწავლებელთა გახსნის შესახებ.**

მომხ. ნ. ცინცაძე. აღმოსავლეთი საქართველო ჩამორჩენილი არის სწავლის მხრით შედარებით დასავლეთ საქართველოსთან. თუ დასავლეთ საქართველოში ათას სულზე ერთი სკოლა მოდის, აღმოსავლეთში 2500 სულზე ერთი სკოლაა. განათლების სამინისტრომ მიაქცია ყურადღება ამ გარემოებას და გადასწყვიტა ხაზ. ხარჯებით 37 პირველ დაწყებითი სკოლა გახსნას. ამ გვარად გაიხსნება: დუშეთის მაზრაში 4, თიანეთის 4, გორის მაზრაში 18 სკოლა, თელავის მაზრაში 4 სკოლა, სიღნაღის 9.

**აკ. ფაღავა** ემხრობა მომხსენებელს და აღნიშნავს სკოლების გახსნის საჭიროებას აღმოსავლეთ საქართველოში.

კანონ პროექტი მიიღეს.

ამ კანონის განსახორციელებლათ განათლების სამინისტროს დასჭირდება 12,1440 მანეთი, რომელიც დამტკიცებულ იქნა.

**საფინანსო კომისიის დადგენილება—შაქარზე ერთდროულ გადასახადის დაწესების კანონ პროექტის უარყოფის შესახებ.**

მომხსენ. დ. თოფურიძე. ფინანსიურ კომისიაში ფინანსთა სამინისტრომ წარმოადგინა კანონ-პროექტი, შაქარზე გირვანქაზე ერთი მანეთის დაწესებისა ხაზინის სასარგებლოთ. სამინისტრო შევიწროვებულია, უნდა გამოიძებნოს ყოველგვარი სახსარი ჩვენი ხაზინისთვის, მაგრამ შაქარი ისეთი საჭირო საგანია, რომლის დაბეგვრაც შეუძლებლათ მიიჩნია კომისიამ და გადასწყვიტა, რომ კანონ-პროექტი უკან დაბრუნებოდა სამინისტროს. მაგრამ ბოლოს გამოირკვა, რომ სამინისტრო უკვე ახდევინებს გადასახადს, რომელიც ინახება დეპოზიტში. ყველა ამის გამო მოვითხოვ, რომ ეს კანონ პროექტი დაუბრუნდეს ხელ ახლათ გასარჩევათ კომისიას.

**ჟურული.** (ფინ. მინ.) აღნიშნავს, რომ ფინანსთა სამინისტრო ისე, როგორც მთავრობა, არაა მომხრე არა პირდაპირი გადასახადის, მაგრამ გარემოება გვაიძულებს მივმართოთ არა პირდაპირ გადასახადს. სამინისტროს შაქარი მოეძებნება 70 ათასი ფუთი. ასე რომ, ხაზინას დაბეგვრისაგან 2,800,000 მან. შემოსავალი ექნება. რასაკვირველია, ეს კანონი დროებითი იქნება. როდესაც სხვა წყაროები გამოჩნდება, მაშინ მოისპობა არა პირდაპირი გადასახადიც. ეს გადასახადი შაქრის ფასში უკვე შედის და არავითარი უკმაყოფილება არ გამოუწვევია ხალხში. მართალია, ყოველივე არაპირდაპირი გადასახადი იწვევს უკმაყოფილებას, მაგრამ ორი საშუალება გვაქვს ბიუჯეტისთვის, ერთი გადასახადი, მეორე სესხი. რადგანაც უკანასკნელი არ ხერხდება, დაგვრჩენია დავადგეთ პირველ გზას. არ არის ისეთი სახელმწიფო, რომელიც არ სარგებლობდეს არა პირდაპირი გადასახადით. რუსეთში, ამ შაქრის ქვეყანაში, სტატისტიკური გამოკვლევით სულზე 14 გირვანქა შაქარი მოდიოდა, ინგლისში კი 90 გირვანქა. ამის მიზეზი იყო ის, რომ სახელმწიფო ბეგრავდა შაქარს. თუ ჩვენ საშუალო რიცხვით ვიანგარიშებთ, სულზე 7 გირ. შაქარი, მაშინ ხაზინას წელიწადში 14 მილ. მანეთი შემოუვა.

**რ. გაბაშვილი.** წინააღმდეგია ამ პროექტის და მოითხოვს, რომ ის კომისიას კი არ გადაეცეს, არამედ—უკან დაუბრუნდეს ავტორს მოსასპობათ.

**გრ. რცხილაძე.** შეუძლებელია ასეთ პრეცედენტებს ყურადღება არ მიაქციოს პარლამენტმა. სამინისტრო, მთავრობის თანხმობით უკვე ახდევინებს გადასახადს შაქარზე იმ დროს, როდესაც კანონ-პროექტი არ არის განხილული პარლამენტის მიერ: ეს არის პარლამენტის უფლების შეკვეცა. ორატორი წინააღმდეგია გადასახადის. ჩვენი ბიუჯეტი 600 მილიონს უდრის. და სულ ერთია ორი მილიონი მანეთი ეს წვეთი იქნება ზღვაში.

მიიღეს წინადადება მომხსენებლის, რომ კანონპროექტი დაუბრუნდეს ხელახალ გასარჩევათ კომისიას.

**კანონ პროექტი გადასახადთა გაუქმების და გადასახადთა და სახელმწიფოთა სამმართველოს დაარსების შესახებ.**

მომხ. ქავთარაძე. პარლამენტმა უკამათოდ მიიღო კანონპროექტი, მხოლოდ ერთ მუხლმა გამოიწვია კამათი. რ. ივანიცკი მოითხოვდა, რომ სამმართველოს უფროსს დაენიშნოს 12 ათასი მ. მაგიერათ 16,200 მ. და თანაშემწეს 10,800 მ. მაგ. 12 ათასი. ეს წინადადება უარყვეს.

# აჭარლებს

ჩემო ძმებო! მართალია ქვეყნის უკულმა ტრიალმა და ზოგიერთ თქვენების გაუმაძღრობამ ჩვენ ერთი მეორეს დროებით დაგვაშორა, მაგრამ ყველა ქართველის გული ისევ თქვენთან არის, თქვენთვის ფიქრობს და თქვენი სიკეთისათვის ზრუნავს. ქართველები (ქრისტიანები) თქვენთან მოვიდნენ გუშინ, როცა თქვენ გიჭირდათ, როცა რუსის კაზაკები თქვენი ჯამალ-ბეგი თვით მოუძღვებოდა ახალციხის გზით, თქვენი ქვეყნის ასაოხრებლად... რუსები წავიდნენ, ყირალაბა (მეფობა) მოიშალა, მოიშალა რუსეთში, მოიშალა ავსტრიაში, მოიშალა გერმანიაში, ადრე მოიშლება თურქებში, მაგრამ ამას არ ჰფიქრობს ჯამალ-ბეგი და ის ცდილობს, შეირჩინოს ბეგობა, შეირჩინოს მთელი აჭარის ბატონობა—ტყე და მამული. ამისათვის, როცა ეხლა დრო შეიცვალა და ჯამალ-ბეგმა დაჰკარგა იმედი აჭარის ფაშობის, მაშინ ის სხვა ხრიკით ცდილობს თქვენ გაბრიჩებას, (გაბრიყვებას) ის და მისი აგენტები: ცხენის ქურდი მემედ ჰყონია, ამ ჰყონიას სიძე ხოჯა ცივაძე, ძროხების ქურდი იუზა ნაკაიძე, ჯემალის ძმა თემურ ბეგი, თემურისა და ჯემალის შვილები, რომლებმაც თქვენ უწინ გაგაბრიყვეს და რომლებმაც მერე თქვენგვე ტყავი გაგაძვრეს, ეხლა კიდევ არ იშლიან თავისას, დაძვრებიან თქვენში და გეუბნებიან: არიქა თავს უშველეთ, თორემ, თუ ქართველები აქ შემოვიდნენ ყველას ღალატისათვის დასჯიანო. ძმებო, მოღალატეები ესენი არიან და მოვა დრო, რომ მათ თვითონ თქვენ დასჯით, მაგრამ თქვენ არ ხართ მოღალატენი და არც არავინ თქვენ დასჯას არ ჰფიქრობს. მოღალატე ვინც არის, ის თურქებს თან წაჰყვება ოსმალეთში და, რომ ეს ასეა, ამას ის ამტკიცებს, რომ ჯემალ ბეგმა თავისი სასახლე ხულოში კიდეც მიჰყიდა ყადი ოღლებს (ძმებ ბოლქვაძეებს). ჯემალ-ბეგმა კარგად იცის, რომ მას თქვენთან მოსაცლელი პირი არ აქვს და ოქროებს უყრის თავს და ოსმალეთში წასასვლელათ ემზადება. თქვენ კი გეუბნებათ, რუსები მოვლენ და საქართველოს აიღებენო. მაგრამ დღეს მთელი რუსეთი დანგრეულია და ბათუმში რომ რუსი აფიცრებია, რუსეთში კარგა ხანია წავიდოდნენ, მაგრამ სიკვდილის ეშინიათ.

ნუ უჯერებთ, ძმებო, თქვენს მოღალატეებს: ისინი თქვენ „გაქორებენ" (გაბრიყვებენ). დაიჯერეთ, რომ ჩვენ უერთმანეთოთ არ ვარგვართ. ნუ გეშინიათ, უჯემალ-ბეგოთ შეგვიძლიათ გასძლოთ და, თავის თავისით მოგაშორდებათ, „წინ წყალი და უკან მეწყერი", „არამც წასვლა, არამც მოსვლა".

გურული.

# ახალი ამბები

**სომხის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა** ჯამალიანმა წერილობით მიმართა გარეშე საქმეთა მინისტრს ევგენი გეგეჭკორს, რომ ჩხრეკის დროს, სხვათა შორის, ბინაზე არ ყოფნის დროს გაუჩხრეკიათ სომხის საზოგადო მოღვაწეები. ჯამალიანი სთხოვს მინისტრს ამ პირებს უფრო პატივისცემით მოეპყრან.

— **სამხედრო მინისტრის ბრძანებით** ბათომში გაუშვებენ მხოლოდ იმ პირთ, რომელთაც ექნებათ სამხედრო სამინისტროდან თვით მინისტრის ხელ მოწერილი მოწმობა.

— **დახმარება მილიციონერებს.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე გადასცენ მის განკარგულებაში 200,000 მან. კრედიტი ათ მილიონიან ფონდიდან მილიციისა და მათი ოჯახების დახმარების აღმოსაჩენად.

— **საქართველოს რკინის გზის** უფროსი კანცელარია აცნობებს რკინის გზაზე ყველას, რომ თანახმად გენერალ-გუბერნატორის ბრძანებისა, რკინის გზის სადგურებზე და ფოსტის ნავთსადგურში აკრძალულია დეპეშით დალაპარაკება—სახელმწიფო ენის (ქართულის) გარდა სხვა ენაზე.

— **განჯიდან** იტყობინებიან, რომ ადერბეიჯანის საზღვრებში აკრძალავთ სომხურ გაზეთების გავრცელება.

— **თათბირი.** 15 ნოემბერს, დილის 10 საათზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ბინაზე, პეტრე დიდის ქუჩა № 8, შესდგება უწყებათა შორის წარმომადგენელთა თათბირი ერობის ქონების ერობის დაწესებულებათა გადასაცემათ.

— **ლექცია.** დღეს, 14 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია სერგო ქორქოლიანის მორიგი ლექცია: „პოლიტიკური ეკონომია".

— **დაკარგული ბავშვი.** ორი თვის წინათ დაიკარგა 12 წლის ყმაწვილი სერგო იოსების ძე ქურაკოვსკი, შემდეგი ნიშნებით: წმინდა პირისახის, თმას მოწითალო. გაიქცა ქუთაისიდან, თუ ვინმემ იცის სად არის, ვთხოვთ გაგვაგებინონ შემდეგი მისამართით: ტფილისი, ყიფიანის ქ. № 12, ანასტასია ქურაკოვსკი.

— **ობოლთა თავშესაფარი** მთავრობის რწმუნებული რუხაძე აცნობებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ ახალციხის მაზრაში იმყოფება ლტოლვილთა ობოლი ბავშვები, რომლებიც უმწეო მდგომარეობაში არიან და თუ შემწეობა არ აღმოუჩინეს, ყველას სიკვდილი მოელის. რუხაძე სთხოვს შინაგან საქმეთა სამინისტროს—გაკეთებულ იქნას თფილისში 300 ობოლ ბავშვთათვის თავშესაფარი და მიიღონ მათი აღზრდის მზრუნველობა.

— **ხურამის სოც.-დემ. კომიტეტისაგან** თფილისის კომიტეტმა მიიღო ასი მანეთი პლეხანოვის სახელობის ფონდის გასაძლიერებლად.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

დღეს, საღამოს 7 საათზე, ბიუროს ბინაზე შესდგება მე-4 რაიონის კოლექტივის წევრთა მორიგი კრება.

— დღეს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია მესამე რაიონული კრება.

— დღეს, საღამოს 6 საათზე ბიუროს ბინაზე შესდგება მეორე რაიონის კოლექტივის წევრთა კრება.

# ინსტრუქცია

**სამაზრო და სარაიონო სახალხო გვარდიის შტაბებს.**

1) 29 ნოემბერს, 1918 წ. მთელ საქართველოში იმართება ეგრედ წოდებული „სახალხო გვარდიის დღე" რომლის მთელი შემოსავალი მოხმარდება დაჭრილ და დამახინჯებულ გვარდიელებს და მის ლაზარეთებს.

2) ყველა შტაბები ვალდებულნი არიან ეხლავე გამოჰყონ შესაფერისი კომისიები, რომლებმაც უნდა იკისრონ მოწყობა ადგილობრივ „სახალხო გვარდიის დღისა".

3) დღესასწაული „სახალხო გვარდიის დღისა" უნდა იყოს შემდეგი პროგრამით:

ა) ყულაბებით ფულის შეგროვება, ამისთვის დამზადებული ნიშნებით გაყიდვის და შემოწირულებანი.

ბ) გამართული უნდა იქნეს კიოსკები და გაიყიდოს ყვავილები და ღია ბარათები.

გ) უნდა უკრავდეს მუსიკა ქალაქის, დაბის ან სოფლის მთავარ ქუჩებზედ.

დ) თუ ადგილობრივ არსებობენ თეატრები და სინემატოგრაფები ამ დღეს უნდა გაიმართოს განსაკუთრებული საღამოები, რომლის წმინდა შემოსავალი გადაეცემა ფონდს, „სახალხო გვარდიის დღე"-ს.

4) ამ დღეს მთელ რესპუბლიკის რკინის გზებზე დაინიშნება ერთი საგანგებო მატარებელი აწეულ ტარიფით. ამ მატარებლიდან ყოველ სადგურზე გაიყიდება შესაფერისი ნიშნები და მოგროვდება ყულაბებით ფული. ამიტომ კომისიებმა ხელი უნდა შეუწყონ ხალხის ბაქანზე შეკრებას.

5) ხარჯების შესახებ რომელსაც გამოიწვევს „სახალხო გვარდიის დღის" გამართვა, გთხოვთ იხელმძღვანელოთ შემდეგით:

ა) საგანგებო ნიშნებს, ქინძისთავებს, სააგიტაციო ფურცლებს და მხატვრულათ შესრულებულ პლაკატებს მიიღებთ თფილისიდან უფასოთ.

ბ) კიოსკები მოაწყეთ ისე როგორც განძრახულია თფილისში, ნაღდი ფულის დაუხარჯველათ საამშენებლო მასალა უნდა გამოიძებნოს სხვადასხვა მთავრობის დაწესებულებებიდან, იმ პირობით, რომ შემდეგ დაუბრუნდებათ უკან. კიოსკები მორთული უნდა იყოს ხალიჩებით, პლაკატებით და სხვა ისეთი საგნებით რომელიც არ გამოიწვევს ფულის დახარჯვას.

გ) რადგანაც ქ. თფილისში ყველა ბეჭვდითი ორგანოებში, ყველა ენაზე, მიუხედავათ მიმართულებისა, დასტამბული იქნება შესაფერისი განცხადებები, ადგილობრივ სადაც მოიპოვება ბეჭვდითი ორგანოები, უნდა მოთავსებული იყოს შესაფერისი განცხადებები და ამით გამოწვეული ხარჯი გამორიცხული იქნას საერთო შემოსავლიდან „სახალხო გვარდიის დღისა".

6) შეგროვილი ფული, საერთო შემოსავლის და გასავალის ანგარიშით წარდგენილი უნდა იქმნას მთავარ შტაბში, ქ. თფილისში, არა უგვიანეს 15 დეკემბერს, 1918 წ.

7) გაუწყებთ, რა ყველა ამას, ვთხოვთ კომისიებს, რომელთაც დავალებული ექნებათ „სახალხო გვარდიის დღის" გამართვა, გააფართოვონ მესამე მუხლში ნაჩვენები პროგრამა და მოიწვიონ საქმის სათანადო ჩაბარებისათვის ადგილობრივ ქალთა საზოგადოებაც.

8) ამ დღეს, მიღებულ იქმნას მუშებს შორის ზომები, რომ უკანასკნელებმა ამ ერთი დღის ნამუშევარი გადასდონ „სახალხო გვარდიის" ფონდის გასაძლიერებლად.

9) ყოველივე მიწერ-მოწერა, დეპეშები და სხვა უნდა აწარმოვოთ შემდეგის ადრესით: „სახალხო გვარდიის დღის" მომწყობ ბიუროს, სასახლე, მედიკო-სანიტარული განყოფილება მთავარი შტაბისა.

**ბიურო გვარდიის დღის მოწყობისა.**

# ლტოლვილთა გარშემო

მხოლოდ დღეს წავიკითხე გაზეთებში იმ გამოსვლების შესახებ, რომელსაც რამოდენიმე პარი და ბეჭდვითი ორგანო ლტოლვილთა საკითხის გარშემო საქართველოს რესპუბლიკის და საქართველოს ჯარის უფროსთა წინააღმდეგ აწარმოებდა. ლტოლვილთა საკითხი მჭიდროთაა დაკავშირებული ოსმალეთის მიერ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების ჩვენზე გადმოცემის საკითხთან. აზრად გვქონდა ჩაგვეყვანა იქ ჯარი, აღგვედგინა წესიერება და უზრუნველ გვეყო ლტოლვილთა დაბრუნების უშიშრობა, და მხოლოდ ამის შემდეგ დაგვებრუნებია ლტოლვილნი. ყველა ჩემ დაბეჯითებით მოთხოვნაზე, რომ ჩვენი ჯარი გაეშვათ ოსმალეთის სარდლებს, ისინი გვიპასუხებდნენ, რომ ამის შესახებ მთავარ სარდლისგან ბრძანება არა აქვთ. და მხოლოდ ერთი კვირის უკან ოსმალეთის ჯარის უფროსმა მიიღო ეს ბრძანება, მაგრამ იქ არ იყო ნაჩვენები მაზრების გადმოცემის ვადა და რიგი. ვხედავდი რა, რომ პირობის ასრულებას ოსმალები აგვიანებდნენ, ლტოლვილთა მდგომარეობა კი სიცივეების გამო უარესი შეიქმნა, მე დაბეჯითებით მოვითხოვე გაეშვათ ლტოლვილნი. ხალილ ბეიმ თანხმობა განაცხადა, ხოლო იმ პირობით, რომ დაბრუნების ნებართვა უნდა მისცეს თფილისის ლტოლვილთა კომიტეტმა. მსურდა რა ამეცდინა ხიფათს ლტოლვილთა სიცოცხლე და ქონება, მე წერილობით შევეკითხე ხალილ ბეის, იძლევა თუ არა ის ლტოლვილთა თავისუფალ დაბრუნების გარანტიას, რაზედაც მხოლოდ გუშინ სალამოთი მივიღე დადებითი პასუხი, მაგრამ ისევ იმ პირობით, თუ ლტოლვილთა დაბრუნების ნებართვას თფილისის ლტოლვილთა კომიტეტი მისცემს. ამნაირათ, იმ ბრალდებას, ვითომც საქართველოს რესპუბლიკას არ სურდეს ლტოლვილების უკან დაბრუნება, არავითარი საფუძველი არა აქვს. არამც თუ სწერენ ასეთ ბრალდებას, არამედ არიან ისეთი ქველმოქმედნიც, რომელნიც ლტოლვილებს აჩქარებენ დაუყონებლივ შინ დაბრუნდნენ, რასაც ლტოლვილების დახოცვა და ძარცვა მოსდევს, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ბარალეთთან, სადაც მრავალი ლტოლვილი დახოცეს, ტყვეთ წაიყვანეს და საქონელი წაართვეს. ოსმალებმა გზები შეკრეს და არვის უშვებენ, როგორც ჩვენსკენ, ისე იქით. მაშასადამე, ლტოლვილთა დაბრუნების ჩემ მიერ ნების დართვა ან ამის აკრძალვა, რაც არას დროს არ ყოფილა, საქმის მდგომარეობას არა სცვლიდა. ვთხოვ ყველა გაზეთებს გადაბეჭდონ ეს განმარტება, ხოლო ვისაც სურს ჩემს სიმართლეში დარწმუნდეს, პირადათ მოინახულოს ლტოლვილები ბორჯომში.

გენერალ მაიორი თავადი მაყაშვილი.
ბორჯომი, 12 ნოემბერი.

# მაქსიმე დოლიძე

მცირე ხნის ავადმყოფობის შემდეგ ს. ამაღლებაში (გურია) 28 ოქტომბერს გარდაიცვალა ახალგაზრდა მხატვარი-მოქანდაკე მაქსიმე დოლიძე.

ის ღარიბი ოჯახიდან იყო მაგრამ მან მოქანდაკე ი. ნიკოლაძის დახმარებით შესძლო დაესრულებია თფილისის სამხატვრო შკოლა, შემდეგ ნიკოლაძეს ის გადაჰყავს თავის სახელოსნოში, სადაც მან გამოიჩინა შესაფერი ნიჭი და უნარი. რასაც განცვიფრებაში მოჰყავდა თავისი მასწავლებელი. სხვადასხვა პირობებმა ერთი წელია ის სოფელს დაუბრუნა, სადაც ის პატრონობას უწევდა თავის წვრილ ცოლშვილს და აგრეთვე უფროსი ძმის უპატრონოთ დარჩენილ ოჯახობასაც; საზოგადოება მას არ იცნობდა როგორც მხატვარსა და ხელოვანს, მაგრამ ამის მთავარი მიზეზი იყო მისი ნაღვლიერი ხელმოკლეობა რაც ნებას არ აძლევდა მის ნიჭს შესაფერისად ფრთა გაეშალა. უკანასკნელად ის მიწვეული იყო აკეთის 4 კლ. სასწავლებელში ხატვის მასწავლებლად, სადაც მან მცირე ხნის განმავლობაში საკმაო სიმპატია დაიმსახურა მოწაფეთა შორის და მათ გულში, შეიძლება ითქვას, უკვდავი ძეგლიც დაიდგა. საზოგადოებამ მასში დაჰკარგა ნიჭიერი ხელოვანი, რომელსაც დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო მოზარდ თაობისათვის

მშვიდობით კეთილო ადამიანო.

დათიკო ბაიხოშვილი.

# საექიმო-სასანიტარო საქმე

მიხეილის საავადმყოფოში ამ რამდენიმე დღის წინად ექიმთა კოლეგიამ ექიმ ქირურგის არჩევანი მოახდინა. როგორც დასავლეთ ევროპაში, ისე რუსეთშიაც, როცა დიდი საავადმყოფო, ერობა ან სხვა დაწესებულება დიდს და პასუხსაგებ ადგილზე იწვევს ექიმს, კანდიდატების კონკურსს აცხადებენ. ირჩევენ იმ კანდიდატს, რომელსაც მეტი მეცნიერული ღირებულება, მეტი სპეციალური ნაწერები, ხანგრძლივი სამსახური და გამოცდილება აღმოაჩნდება. ეს არის ერთად-ერთი სწორი და დადებითი გზა [illegible] ბის დაფასებისა. მიხეილის საავადმყოფოს ექიმთა [illegible] აუქცია. შინაურულად მოახდინეს კანდიდატების არჩევნები მართლა დიდს და პასუხსაგებელ ადგილზე.

საჭიროა გამოცხადდეს მის ყველა ადგილზე კონკურსი, რომ სალ, მეცნიერულ ნიადაგზე დამყარდეს მის კედლებში მუშაობა და ასე განახლებული, მომავალ ერობის მფლობელობაში გადავიდეს.

---

თფილისში 4—7 ნოემბრამდე, ხოლერით ავათ გამხდარა 5 კაცი, რომელთაგან 4 გარდაცვლილა.

---

სიღნაღის მაზრის ერობის განკარგულებაში, თანახმად სამ. ზ. ერობის გამგეობის თავმჯდომარის თხოვნისა, გაიგზავნა 5 ექიმი, 5 ფერშალი, ინფლუენციის ეპიდემიის წინააღმდეგ ზომების მისაღებად.

---

ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს საექიმო განყოფილება იტყობინება, რომ 15—22 ოქტომბრამდე ხოლერით ავათ გახდა 18 კაცი, ს. დვაბზუში—12 კაცი, ს. ჭალაში 5 კაცი და ს. ლიხაურში 1 კაცი.

---

12 ნოემბერს საექიმო სასანიტრო განყოფილება ჰგზავნის პროფესორ მირონკოგოროვს თელავის მაზრაში ს. ახალსოფელში იქ გაჩენილ სენეკო ავადმყოფობის ბაქტერიოლოგიურად გამოსარკვევ შესასწავლად და საჭირო ზომების მისაღებად.

---

საექიმო სასანიტარო განყოფილების 5-თე სამკურნალო ზედამხედველ ბანაკში, რომელიც ხაშურში იმყოფება, ოქტომბერში გადამდები სენით ავადმყოფი წოლილა: ხოლერით 8 კაცი, მუცლის სახადით 5, შებრუნებული სახადით 12, წინწკლოვანი (сыпной) სახადით 3, ფილტვების ანთებით 5, ინფლუენციით 7. სულ 50 კაცი. სექტემბრიდან დარჩენილი 17 კაცი იყო—სულ 67 კაცი. მათგან მომკვდარა 16 კაცი, მორჩენილა 34, დარჩენილა საავადმყოფოში 17 კაცი. ბანაკის გამგე ექიმი იტყობინება, რომ გადამდები სენით ავადმყოფთა რიცხვი დღითი დღე იზრდება.

# „განწირულთა ქვეყანა"

**რუსეთის სოფელი.**

(სტ. ვოლსკის ლექცია).

11 ნოემბერს სტ. ვოლსკიმ წაიკითხა თავის მეორე ლექცია. დაპირებისამებრ მან ეს ლექცია უძღვნა რუსეთის სოფლის ცხოვრების დახასიათებას.

საშინელი და შიშის აღმძვრელი იყო მისგან აწერილი ბოლშევიკური ქალაქის ცხოვრება, მაგრამ არა ნაკლებ საშინელი გამოდგა სოფლის ცხოვრებაც. პირიქით, აქ თითქოს სოფელი ეჯიბრება ქალაქს ველურ და ძლიერ ახსნილ ინსტინქტების გამოაშკარავებაში.

გაკონსერვატორება, გაველურება, გულჩათხრობილი უკმაყოფილება, ჯერ გამოუცნობი ღელვა და დრტვინვა—აი რა ახასიათებს—ლექტორის სიტყვით,—რუსეთის სოფელს.

დიდი ხანია წარვიდნენ ის ბრწყინვალე წამები, როცა სოფელი სიხარულით დღესასწაულობდა ბოლშევიკურ გადატრიალებას და სახე გაბრწყინებული მოელოდა ახალ მთავრობისაგან ყველა იმ ლოზუნგების განხორციელებას, რომელნიც ასე გულუხვად გადაისროლეს მისკენ ბოლშევიკებმა.

დაუყოვნებლივ ზავი, მიწის საკითხის დაუყოვნებლივ გადაჭრა, საერთო ცხოვრების მოწყობა-მოწესრიგება, აი რას მოელოდა სოფელი ბოლშევიკურ მთავრობისაგან; აი რისთვის გახდა ის მომხრე ოქტომბრის რევოლუციისა. მაგრამ... ილუზიების ბანქოს კოშკი დაინგრა! დაუყოვნებლივ ზავის მაგიერ გაჩაღდა საშინელი, დაუსრულებელი სამოქალაქო ომი, ერთი ფრონტის მაგიერ გაჩნდა ათასი. დაწყობის მაგიერ ცხოვრება სრულიად აირ-დაირია. ვერ გადაწყდა სათანადოთ მიწის საკითხიც, რომელსაც სოფელი გულის ფანცქალით მოელოდა. „ესერების" [illegible] მიღებულმა მიწის სოციალიზაციამ ცხოვრებაში გატარების დროს სრულიად უკუღმართი და მახინჯი სახე მიიღო. შეუგნებელ და ბნელ გლეხობას სოციალიზაციისა არა ესმოდა რა და მანაც მასში სულ სხვა შინაარსი გაახვია. მიწები დაინაწილეს, მაგრამ სრულიად უწესრიგოდ და სამართლიანობის გარეშე. მეტ მიწას ღებულობდა ის, ვისაც მეტი ინვენტარი ჰქონდა და მაშასადამე მეტის დამუშავება შეეძლო. ამ რიგად მიწა გადავიდა უმთავრესად შეძლებულ გლეხებს ხელში.

ვერ მოეწყო ინვენტარის განაწილებაც. ამან გამოიწვია ღარიბულ მიწაზე დარჩენილ, უინვენტარო გლეხების უკმაყოფილება, „რად გვინდა მიწა, თუ არ გვექნება მისი დასამუშავებელი საშუალებებიო". ამ რიგათ სოციალიზაცია უქმდება. ის იწვევს წინააღმდეგ შედეგებს. გლეხებში იღვიძებს ბურჟუაზიული

მიდრეკილება. ისინი მიწას ისე უწყობენ ცქერას, როგორც საკუთრებას. სოფლებში ხშირად გაიგონებთ გლეხის ასეთ შეკითხვას:

„Когда же ахъ-то будетъ" (ე. ი. როდის დაგვიმტკიცებენ მიწას საკუთრებით). სოფელი ადგას გაკონსერვატორების გზას. ამას ხელს უწყობს ერთი გარემოებაც: შექმნილ პირობების გამო, დღეს სწრაფად სწარმოებს ქაღალდის ფულის დენა ქალაქიდან სოფელში. სოფელი ივსება ქალაქის ფულით. ხშირად შეხვდებით გლეხს, რომელიც მჭიდროდ აკეთებინებს რკინის ყუთს ფულის შესანახად. მაგრამ მიუხედავად ამისა, სოფელი მაინც უკმაყოფილოა, რადგან ამ ფულით ის ვერ იძენს საჭირო საგნებს (მანუფაქტურას). ის ვერ ახერხებს თავის ფულის რეალიზაციას. ამის გამო სოფელი შურით შეჰყურებს ქალაქის პროლეტარიატს, რომელიც ამ მხრივ პრივილეგიურ მდგომარეობაში ჰყავს მთავრობას. აქედან იბადება მისი მტრული განწყობილება მთავრობისა და პროლეტარიატისადმი. სოფლის გაოპოზიციონერება სწრაფი ნაბიჯით ხდება. თუ მიმდინარე წლის მარტში სოფელი ბოლშევიკური იყო, გაზაფხულზე და ზაფხულზე ის უკვე ოპოზიციაში ედგა მთავრობას. მას აბრაზებს დაუსრულებელი ანარქია და ცხოვრების მოუწესრიგებლობა. სოფელმა, ავად იყო თუ კარგად ხელში ჩაიგდო მიწა, განდევნა სოფლიდან და თავიდან მოიშორა თავადაზნაურობა, მოაგროვა საკმაო ფული და ეხლა სწყურია დამშვიდებული შრომა და მყუდრო ცხოვრება. „წესრიგი, წესრიგი!" გაისმის დღეს სოფლად. „ვინაც უნდა იყოს სახელმწიფოს სათავეში, ოღონდ მოგვცეს წესრიგი!"—ამბობს გლეხობა. ასეთი მიდრეკილება სწრაფად ვითარდება გლეხობაში. ამას აშკარად ხედავს ბოლშევიკური მთავრობა, გრძნობს მის საშიშროებას და სურს მისი თავიდან აცილება, მაგრამ რით?—დამსჯელი რაზმით. ერთ გაზეთში ბოლშევიკს აშკარად განუცხადებია: „ჩვენ სოფელს ვერ შევირიგებთ, ის ძალით უნდა დავიმორჩილოთო". მაგრამ მარტო დამსჯელი რაზმი ვერაფერს გახდება, საჭიროა თვით სოფელში გამოძებნა დასაყრდენი ნიადაგის. და ბოლშევიკებიც შეუდგნენ ასეთი ნიადაგის გამოძებნას. მთავრობამ განიზრახა გლეხობა გაეყო ორ ბანაკად: შეძლებულ და ბოგანო გლეხობათ, ისინი ერთი მეორესათვის დაეპირდაპირებინა, და ამ რიგად თვით გლეხობაში გაეჩაღებინა კლასიური ბრძოლა. ეს აზრი განხორციელდებოდა, რომ ბოგანო გლეხობა მეტი შეგნებული და შეკავშირებული ყოფილიყო, მაგრამ ბოგანო გლეხობა ყველაზე უფრო ბნელი და ჩამორჩენილია, ამავე დროს რიცხვითაც მეტად მცირე—ისინი შეადგენენ მთელი გლეხობის მხოლოდ 20 პროც. მაგრამ ამ გარემოებას მთავრობამ ყურადღება არ მიაქცია და თავის მიზნის განსახორციელებლად შეუდგა ბოგანო-გლეხთა ცალკე კომიტეტების შექმნას (Комитетъ бѣдноты). მთავრობის სურვილი იყო ამ ორგანიზაციების საშუალებით სოფლად ბოგანოთა დიქტატურა გამოეცხადებინა, მსგავსად ქალაქის პროლეტარიატის დიქტატურისა, მაგრამ ეს ცდა უშედეგოთ დასრულდა. როცა გლეხებმა შეამჩნიეს, რომ მთავრობა ბოგანოთა კომიტეტების მხარეზე იყო, მსწრაფლ დასტოვეს ჩვეულებრივი გლეხთა საბჭოები და ყველა გადაეწერა ბოგანოთა საბჭოებში. ამ რიგად გლეხობის კლასებად დაყოფა შეუძლებელი გახდა.

უშედეგოთ ჩატარდა აგრეთვე ბოლშევიკების მეორე ცდა; სახელდობრ „შრომის კომუნების" შექმნა. ღარიბი გლეხების შეკავშირება ამ „დეკრეტით" ვერ შესძლეს, ხოლო ზოგ ადგილას შეძლებულმა გლეხებმა ბოროტად ისარგებლეს მით: ადგენდნენ „შრომის კომუნას" იმ მიზნით, რომ თავიდან აეცილებინათ სისტემატიური კონტრიბუციები.

დიდ გაჭირვებას განიცდის სოფელი აგრეთვე ბოლშევიკურ-ბიუროკრატიულ ადმინისტრატიულ დაწესებულებებიდან. სადაც ძველად ერთი დაწესებულება განაგებდა საქმეს, იქ ეხლა ხუთი ერთი მეორეს მოქიშპე ორგანო განაგებს და არავინ იცის, რომელი რა საქმეს ემსახურება. ეს დაწესებულებები მაღლიდან ზვავით აწვება სოფელს თავზე და სულს უხუთავს.

ამ ბოლო ხანებში სოფლად ერთ ფრიად საყურადღებო მოვლენას აქვს ადგილი. თითქოს ჩამქრალი რელიგიოზური გრძნობა თანდათან ღვივდება. რელიგია აღორძინების გზას ადგება. ამას ხელს უწყობს თვით ბოლშევიკების უტაქტო დევნა რელიგიისა. რელიგიის დევნა კიდევ უფრო აბრაზებს ოპოზიციას. ამას ზედ დაურთეთ პურის რეკვიზიცია, რომელიც ხშირად შეიარაღებული შეტაკებით და ხოცვა-ჟლეტით თავდება მთავრობასა და გლეხებს შორის და თქვენ წარმოიდგინეთ, თუ როგორი აღელვება ჩნდება გლეხების გულში მთავრობის წინააღმდეგ.

ინტელიგენცია სოფლიდან გარბის, და რომელიც რჩება, უწყვეტ შიშში და ცახცახში ატარებს სიცოცხლეს, რადგან არ იცის როდის დაეცემიან თავზე და წაიყვანენ დასახვრეტათ, როგორც კონტრ-რევოლუციონერს.

ადამიანის სიცოცხლის ღირებულება დაეცა.

სოფელი ველურდება. ამ საშინელ ველურობის ილიუსტრაციას იძლევა ერთი სოფელი, სადაც სასურსათო კრიზისის გამო ადგილობრივმა კომიტეტმა გადაწყვეტილება გამოიტანა 60 წელზე უხნეს მოხუცთა დახოცვის შესახებ.

სოფელში ფეხს იდგამს ბურჟუაზიული აზროვნება, თანდათან ღვივდება ზიზღი პროლეტარიატისადმი, როგორც პრივილეგიურ წოდებისადმი, ამავე დროს მათში ღვივდება საკუთარი პარტიის შექმნის სურვილი.

ასეთ სურათს წარმოადგენს რუსეთის სოფელი სტ. ვოლსკის სიტყვით.

ა. ლორდ—ი.

## ს.-დემ. პარტიაში

**თფილისი.** 9 ნოემბერს შესდგა სოც.-დემ. მუშათა პარტიის თფილისის კომიტეტის სხდომა. დაესწრო 17 წევრი. დღის წესრიგში იყო კითხვები: 1) სარეკომენდაციო კომისიის მიერ შემუშავებული მომავალ პარლამენტის წევრების სიის დამტკიცება. 2) მილიციონერთა შორის პარტიული მუშაობის შესახებ, 3) დაშნაკცაკანების პრესის ალვირ ახსნილობა.

კრების გახსნისას თავმჯდომარე ამხ. ბახტაძე აცნობს სხდომას იმ მოსაზრებებს, რომლებითაც იხელმძღვანელა სარეკომენდაციო კომისიამ მომავალ პარლამენტის წევრების სიის შედგენის დროს. მაგრამ, ვინაიდან, ამბობს თავმჯდომარე, ჩვენ არ ვიცით მოესწრება თუ არა ამ საკითხის გარჩევა ჩვენს ყრილობაზე, ან შესაძლებელია სხვადასხვა საპატიო მიზეზების გამო ის ჯერ ჯერობით სრულიად მოხსნილ იქნას ყრილობის დღის წესრიგიდან—ამისათვის უმჯობესია ახლა თფილისის კომიტეტმა არ წარმოადგინოს ეს სია. ეს უკანასკნელი ჩვენს ხელში დარჩება და თუ დავინახავთ მის წარდგენის საჭიროებას, ამას ჩვენ ყოველთვის მოვასწრებთ. ამავე აზრის არიან ამხ. რუსია და ჩიხლაძე. წინადადება ჯერ ჯერობით მოხსნილ იქნას ყრილობისათვის სიის წარდგენა, კომიტეტმა ერთხმათ მიიღო.

მილიციონერთა შორის რაიმე სახით პარტიული ორგანიზაციის დაარსების შესახებ თავმჯდომარე აცნობს კრებას ამ საკითხზე პრეზიდიუმის აზრს. ეს საკითხი მეტად რთული გამოდგა, ამბობს ამხ. თავმჯდომარე. ბევრი პროექტები იქნა წამოყენებული პრეზიდიუმის წევრებისაგან ამ საკითხის გამო, მაგრამ დასასრულს ირკვეოდა, რომ არც ერთი სწორი არ იყო. ახლა კომიტეტს მართებს ფრთხილად მოეკიდოს ამ კითხვის გადაჭრას; მან უნდა გამოძებნოს ის სწორი გზა, რომელიც უფრო მეტი ნაყოფიერი იქნება პარტიულ მუშაობისთვის. ამხ. ბერიტაშვილი ამბობს, რომ თუ რაიონებმა ვერ შესძლეს მილიც. შორის პარტიული მუშაობის სასურველ სიმაღლეზე დაყენება, მით უფრო ძნელი იქნება ეს თფილისის კომიტეტისათვის. ის წინააღმდეგია მილიციონერთა შორის ცალკე პარტიულ ორგანიზაციის დაარსებისა. ჩიხლაძე. თუ ჩვენ პრინციპიალურ ნიადაგზე ვდგევართ, ჩვენ უნდა უარვყოთ მილიციონერთა ცალკე პარტიული ორგანიზაცია. პოლიტიკურ პარტიაში არ არსებობს პროფესია. ასეთი კომპრომისი კიდევ დასაშვები იქნებოდა მაშინ, რომ სხვა გამოსავალი გზა არ გვქონდეს. არის პროფესიონალური კავშირი, სადაც შეიძლება დიდი მუშაობის წარმოება. კავშირში მუშაობა დაახლოვებს მათ პარტიასთან. ცალკე პარტიული ორგანიზაციის შექმნა, მისი აზრით, პოლიტიკურ მოსაზრებითაც შეუძლებელია, ვინაიდან მილიციონერთა სოციალური მდგომარეობა ყალბ ნიადაგზეა აშენებული. და რომ დრო სხვანაირათ შეტრიალდეს, ადვილი შესაძლებელია ასეთი ორგანიზაცია ერთგვარ საფრთხეთ გადაიქცეს მოპოვებულ თავისუფლებისათვის. ანალოგიურ აზრს გამოსთქვამს ამხ. რუსიაც. ბახტაძე: პრეზიდიუმის უმრავლესობაც სწორეთ ამავე აზრის გამომთქმელია, რომ საჭირო იყო რაიმე ორგანიზაციის შექმნა, რომელიც პარტიულ მუშაობას აწარმოებდა. საქმე სახელწოდებაში კი არ არის, არამედ თვით მუშაობის დაყენებაში და ამისათვის კი საჭიროა რაიმე ორგანიზაცია. სხვა კითხვაა, თუ რა ერქმევა მას. მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ჩვენ დღეს ერთგვარ პასუხისმგებლობას ვიღებთ თავზე. იმით რომ, უმრავლესობა მილიციონერებისა დღეს ჩვენი პარტიის წევრებათ ითვლება, ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ. მაშასადამე, რომ პარტიას ჩირქი არ მოეცხოს, საჭიროა შევქმნათ ისეთი დაწესებულება, რომელიც კონტროლს გაუწევს მათ მოქმედებას. ეს კი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ისინი თავმოყრილი იქნებიან ერთ ორგანიზაციაში. იქნებ ბოლოს ეს სასურველიც არ გამოდგეს, მაგრამ დღეს სხვა გზა არ არის, ან ყველა მილიციონერი უნდა გავდევნოთ პარტიიდან, ან არა და შევქმნათ ისეთი ორგანიზაცია, სადაც ყურადღება იქნება მიქცეული მათ მოქმედებას. რაც შეეხება ხელმძღვანელობას, ჩვენ გვყავს მათ შორის ისეთი ჯგუფი, რომელიც ამ საქმეს თამამათ გაუძღვება. ხანგრძლივი კამათის შემდეგ კომიტეტმა დაადგინა: 1) არავითარი ცალკე პარტიული ორგანიზაცია მილიციონერთა შორის არ იქნეს დაარსებული 2) პროფესიონალურ კავშირის გაძლიერებას ავალებს თფილისის კომიტეტი და ნიშნავს თავის მხრივ ერთ მუდმივ მუშაკს, რომელსაც ევალება მილიციონერთა შორის მუშაობა. დროებით ამ მოვალეობას შეასრულებს ამხ. ტოროშელიძე.

საკითხი დაშნაკელების პრესის შესახებ გადაიდო შემდეგ კრებისათვის.

კომიტეტის მდივანი.

---

**სენაკი.** ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ ფოთის ნავთსადგურის მუშებს, რომელთაც სენაკის სამაზრო ს. დ. კომიტეტს ერთდროულ დახმარების სახით შემოსწირეს 5000 მ. ვალენტინა დგებუაძისას და ფოთელ სცენის მოყვარეებს, რომელთაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს კომიტეტის სასარგებლოთ წარმოდგენაში, პირველმა ახალსენაკში და ფოთში, ხოლო უკანასკნელებმა ფოთში. კომიტეტისთვის ულრესად გამამხნევებელია ასეთი ხელის გამოწოდება, უმთავრესად ფოთელ ამხ. მუშებისა, რომელთაც სენაკის მაზრის სოციალ დემოკრატიის სახელით გულწრფელ სალამს უგზავნით. ულრმეს მადლობას უცხადებთ აგრეთვე ფოთის ქალთა წრეს, რომელმაც დიდი შრომა გასწია ფოთში გამართულ წარმოდგენის სასურველად მსვლელობისთვის.

სენაკის მაზრის სოც. დემ. კომიტეტი.

---

**თფილისი.** 7 ნოემბერს შესდგა მეორე რაიონის ს. დ. მ. პ. კოლექტივის კრება. გასარჩევი იყო შემდეგი კითხვები: პრეზიდიუმის არჩევა, მუდმივი ბინის შოვნა, სექციები და კრების დღის დანიშვნა. „პრეზიდიუმში" აირჩიეს: თავმჯდომარეთ ამხ. ნაცვალოვი, თავმჯდ. ამხანაგათ ლ. ასათიანი, მდივნათ—ს. გაჩეჩილაძე, ხაზინადრათ—ი. გოგელია, პასუხის მგებელი კორესპ.—თ. ხუხუნაიშვილი. კოლექტივი დაიყო სექციებათ. პროპაგანდისტთა სექცია, რომელშიაც შედის: ამხ: ს. თევზაძე, მუხუხლა და ფერაძე, სალიტერატურო სექციაში: ა. რუხაძე, ლეჟავა და ა. თოდრია. საფინანსო სექც.—ამხ გოგელია ილია, ლ. რუხაძე, ძიენტი, ლონტი, კიკვიძე. სატეხნიკო სექც.—ამხ. ლეჟავა, კოპალიანი, შვილი, ქიტიაშვილი, ლომიძე. მუდმივ ბინის შოვნის შესახებ საკითხი მოიხსნა დღის წესრიგიდან. კრებამ დაადგინა რაიონულ კოლექტივის სხდომა მოხდეს კვირაში ერთხელ ხუთშაბათობით, საღამოს 6 საათიდან.

თედ. ხუხუნაიშვილი.

## მუშათა შორის

**გურიის მუშათა ასოციაცია.** რევოლუციის პირველ დღიდანვე მთელი დაქირავებული ძალა გურიისა დაირაზმა მუშათა კავშირებში, რომლებიც სუსტი იყო კლასიური თვითშეგნებით და აგრეთვე რიცხვით მცირე არ წარმოადგენდა მძლავრ ორგანიზაციას. მთელი მაზრა დაყოფილი იყო პირველათ სხვადასხვა რაიონებათ, მაგ.: ოზურგეთის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, სუფსის, ხიდისთავის და სხვა, რომელთაც შორის დიდ ხანს არავითარი კავშირი არ არსებობდა, მხოლოდ შემდეგ, როდესაც თვითოეულმა მათგანმა იგრძნო შეერთების საჭიროება, გაჩნდა ერთი ორგანო, რომელმაც უნდა უპატრონოს ყველა რაიონების პროფ. კავშირებს და გაუწიოს მას საერთო ხელმძღვანელობა. სწორეთ ამ მიზნით მთელი მაზრის დაქირავებულ ძალების შესაერთებლად და ორგანიზაციული კითხვების გადასაჭრელად, ბოლო დროს მოხდა ყრილობა, ოზურგეთში. დაესწრნენ ამხანაგები ოზურგეთიდან, ჩოხატაურიდან, ლანჩხუთიდან, სუფსიდან და სხვა. ბევრი პრაქტიკული კითხვები გაირჩა ამ კრებაზე. ამხანაგები გაეცნენ ორგანიზაციულ კითხვებს. ამორჩეულ იქნა დროებითი გურიის მუშათა ასოციაციის ცენტრ. კომიტეტი, ფართო ყრილობის მოწვევამდე, რომელსაც მიენდო გადაჭრილ კითხვების ცხოვრებაში გატარება. ამორჩეულ კომისიას ყრილობამ ნდობა გამოუცხადა, რომელმაც უნდა შეაწყოს საავათმყოფო კასების საქმე გურიის დაქირავებულ მუშათა შორის. ვუსურვებთ მუშათა ცენტ. კომიტეტს მეტ ენერგიას და კავშირებს სასარგებლოდ.

პ. ლეხელი

## პროვინცია

**თელავი.** ერობას ჩვენში ცას მანანასავით მოელოდნენ, განსაკუთრებით პროვინციები მოუთმენლად ელოდნენ ერობის შემოღებას, რადგან მოელოდნენ როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიურ დაშლილ ცხოვრების მოწყობას და ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებას, გაჩაღებას კულტურულ მუშაობისას. ერობის არჩევნები დამთავრდა მაზრებში და სამწუხაროდ პირველათვე კუს ნაბიჯით სვლა უფრო ეტყობოდა, ვიდრე ცოცხალი მუშაობის გაჩაღება. ერობის მოღვაწეების მუშაობა რომ ნაყოფიერი იყოს, ამისთვის საჭიროა იცოდნენ დღევანდელი სოფლის გასაჭირი და გლეხის სულისკვეთება. დღეს ყველას პირზე გვაკერია კულტურული მუშაობის გაჩაღება სოფლად—სკოლა, გზები, წყალსადენი, ტელეგრაფის გაყვანა და სხვა; თავის თავად ცხადია, რომ ყველა ეს ნი აუცილებელ საჭიროებას შეადგენს სოფლისთვის, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს არ არის პირველი მოთხოვნილება გლეხ-კაცისა და, თუ პირველათვე აქედან დაიწყო ერობამ მუშაობა და ამისთვის ფულის გადახდა მოსთხოვა, უეჭველად დიდი უთანხმოება მოუვა სოფლებთან,—შეიძლება სრულიად დაკარგოს ერობამ ნდობა ხალხში. მაშ, რა არის საჭირო, რომ მჭიდრო კავშირი გააბას ერობამ ხალხთან და ნდობით აღჭურვილ ორგანოთ გადაიქცეს? უპირველესად ყოვლისა მიეცით გლეხს სამართალი და მაგარი ადმინისტრაცია. დღევანდელი გლეხი თავ მთელი და თავ გატეხილი ყველა ჯვარედან გზაზე ყვირის, „მომეცით სამართალი, ჩემი მასაზრდოებელი ხარების დამხოცი ვიცი ვინც არის და დასაჯეთო, ჩემი ოჯახის ამწიოკებელი, გამძარცველი, კაცის მკვლელი არხეინად დადის სოფელში და ხმას არავინა სცემსო, ვენახი ამომიგდეს და შიშით ხმა ვერ გამიცია, მეც შიგ არ მომკლასო".—ამისთანა საჩივრებს და ჩივილს ყოველ წუთს შეხვდებით სოფელში და მათ რომ სკოლაზე და გზებზე დაუწყო ლაპარაკი, თავის თავად ცხადია, თქვენ მას გულს ვერ დაუახლოვებთ. მართალია, ძველი სასამართლოები ნახევრათაც ვერ აკმაყოფილებდა სოფლის მოთხოვნილებას, მაგრამ ათში სამი მაინც ისჯებოდა, დღეს ამასაც ვერ ხედავს ხალხი. ასევე ითქმის დღევანდელ ადმინისტრაციაზე; ბევრ ალაგას ყაჩაღებს და მათ ვერ გაარჩევ ერთმანეთისაგან. ამისთვის არის, რომ გლეხი იწყევლის თავზედ. ამიტომ საჭიროა ერობამ რაც შეიძლება ჩქარა მოაწყოს სასამართლოები, მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება ადმინისტრაციისა ბოროტ-მოქმედებას და, როცა გლეხს შეეძლება თავისუფლათ გავიდეს თავის ვენახში და დამშვიდებული შეუდგეს შრომას, მხოლოდ მაშინ შეიძლება დანარჩენებზე ლაპარაკი. მასთან მეორე საჭიროებას შეადგენს სოფლისთვის საექიმო დარგის მუშაობის გაჩაღება; სოფელს მუსრს ავლებს რაღაც ახალი ავათმყოფობა, ხშირი შემთხვევაა ერთი ოჯახიდან სამი—ოთხი მკვდარის ერთად გატანა. სოფელი უწამლოთ და უექიმოთ არის და წყდება ხალხი. გლეხ-კაცობამ ცრუმორწმუნეობას დააღწია თავი და ის მკითხავთან აღარ მიდის, მაგრამ რა ქნას, როცა თელავიდან სოფელში ექიმის წაყვანა უჯდება 80 თუმანი, 40 თუმანი ფაეტონი და ორმოცს კიდევ ექიმი სთხოვს. მე მგონია ყველა მაზრები ასეთივე მდგომარეობაში უნდა იყოს თფილისის გუბერნიაში მაინც, როგორც პოლიტიკურ, ისე საექიმო მხრივ და ერობამაც პირველი ნაბიჯები აქეთ უნდა გადადგას. ერთი სიტყვით, თუ ერობა შესძლებს სასამართლოების მალე მოწყობას, ადმინისტრაციის კალაპოტში ჩაყენებას და საექიმო დახმარების რიგიანად მოწყობას, მე დარწმუნებული ვარ, რომ ერობის მოღვაწენი დაიმსახურებენ ხალხის ნდობას და მით გაიადვილებენ კულტურულ მუშაობას

ხოხო მაჰავარიანი.

---

**ხიდისთავი** (გურია). ახალი ავათმყოფობა „ისპანკა" გურიის სოფლებსაც მოედო. განსაკუთრებით ხიდისთავის საზოგადოებაში ამ ეპიდემიამ ძალიან მწვავე ხასიათი მიიღო. არ არის ოჯახი, რომ „ისპანკით" ავათმყოფი არ ყავდეს. ხშირად მთელი ოჯახი ხდება ავად და ამრიგად ავადმყოფები მოუვლელობით ეხალმებიან სიცოცხლეს. აქ, გურიის დამხმარე კომიტეტის მიერ, საფერშლო პუნქტია გახსნილი, მაგრამ რა უნდა ქნას ასეთ ეპიდემიის დროს ერთმა ფერშალმა! ადგილობრივად ავადმყოფებიც უნდა მიიღოს და სახლშიც უნდა ინახულოს. ასეთ მოთხოვნილებას, რასაკვირველია, ერთი ფერშალი ვერ აუდის და მიუხედავად იმისა, რომ ის ძალას და ენერგიას არ იშურებს, ბევრი ავათმყოფი საექიმო დახმარებას სრულებით მოკლებულია. რომ დამხმარე კომიტეტს კარგი ორგანიზაცია გააჩნდეს, მგონი კი შეიძლებოდა, სადაც ეპიდემია უფრო მძაცრად მძვინვარებს, იქ დამხმარე საექიმო პერსონალის გაძლიერება. მაგ., მახლობელ დ. ჩოხატაურში ერთი ექიმი და სამი-ოთხი ფერშალია.

არ იშოვება არც წამალი. ერთ დროს ხიდისთავს მდიდარი აფთიაქი, დღეს გაცარიელებულია. სანამ მთლად არ გამოილია მედიკამენტი არავინ იზრუნა და ეხლა მგონი კი გამოიბერტყეს ყური, თუ რაიმე იშოვეს. დიდი დახმარება იქნება ხალხისთვის, მთავრობის სათანადო ორგანიზაციები ხალხის საკუთრება აფთიაქებს მედიკამენტების შეძენას გაუადვილებდეს.

სასწავლებლებში ეპიდემიის გამო სწავლა შეწყვეტილია.

სანამ ეს „ისპანკა" მთლად მუსრს გაავლებდეს ხალხს, საჭიროა შველა, საჭიროა საექიმო დახმარების გაძლიერება.

ია.

---

**სამტრედია.** აქაურ სცენის მოყვარეთა ერთი ჯგუფის მეთაურობით დაარსდა დრამატიული წრე. დღემდე სამტრედიაში არ არსებობდა ისეთი დაწესებულება, რომელსაც სათანადო ყურადღება მიექცია და ხელმძღვანელობა გაეწია აქაურ სცენისთვის. წაკითხულ იქნა ქ. ხაშურის დრ. წრის წესდება, შესწორებული, კრება მცირე შესწორებით წესდებას ამტკიცებს. დასასრულ მოხდა არჩევნები, ფარული კენჭის ყრით. გამგეობაში არჩეულ იქნენ: გ. სიხარულიძე, ქ. კვარხაძე, ა. მამაგეიშვილი, დ. შონიძე, ალ. კორძაია, ლ. ბუაძე და ნ. შენგელია. კრებამ მიანდო გამგეობას შეიმუშაოს გეგმა სეზონისათვის და წარმოუდგინოს საგანგებოთ მოწვეულ საზოგადო კრებას დასამტკიცებლად.

ლევანიძე.

## წერილები რედ. მიმართ

ამხ. რედაქტორო! ნება მიბოძეთ „ერთობის" საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ გურიის დამხმარე კომიტეტს, რომელმაც შემოსწირა ორასი მანეთი (200 მან.) მე 3 ჯაჭვნიან მატარებლის სამკითხველოს. აგრეთვე მადლობას ვუცხადებთ იმ ამხანაგებს, რომლებმაც კეთილი ინებეს და შემოსწირეს ხსენებულ სამკითხველოს 481 მან. 85 კაპ. *)

სამკითხველოს გამგე მ. ვაშაყმაძე.

*) უადგილობის გამო სიას ვერ ვბეჭდავთ.


## განცხადებანი

### შემოწირულება

გარდაცვლებულ იგრაფინა თომას ასულის ჩხიკვიშვილის ხსოვნის აღსანიშნავად ფოცია თოდრიას ასულმა შესწირა ს. გუთურის სასწავლებელს 60 მან. რისთვისაც მადლობას ვსწირავთ. სასკოლო საბჭოს მინდობილობით

ვარდენ ჩხიკვიშვილი.

**მიხეილის კერძო სამკურნალო**
მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—35. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე
ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ აკოფოვი ქალ. და საბებიო 10—11 ს., მ. ფ. მგალობლიშვილი ქირ. და ქალ. 11—12 ს., მ. ი. ვაჩნაძე შინაგ. და საბავშვო 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ და ნერვ. დილის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., ქ. ვ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს.
მასაჟი, ელექტრიზაცია, ყანის ქვეშ შეშხაპუნება. 606 და 914 შეშხაპუნება. საავათმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობლისა და ი. ნ. ტერ აკოფოვის ზედამხედველობით.

**ექიმი იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე**
ლეჩულობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

**სამკურნალო კაბინეტი ექიმ ალექსანდრე დავითის ძის [illegible]**
იღებს [illegible] სით ავათმყოფებს (914—606-ით შეშხაპუნება). ავათმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

**რენტგენისა და ელექტრონის სხივებით სამკურნალო კაბინეტი.**
წითელი ჯვრის საზოგადოების და მიხეილის საავადმყოფოს რენტგენის კაბინეტის ყოფილი გამგე
**დოქტორ ა. ვ. ლევენშტეინისა.**
ავათმყოფები მიიღება შინაგან, ნერვების და ქალის ავადმყოფობა რენტგენოფოტოგრაფია და ფიზიკური მეთოდი ექიმობისა წინასწარ ჩაწერით (დაჭრილები რიგ გარეშე). სპეციალური რენტგენო-დიაგნოსტიკა და ფიზიოთერაპია გულისა, ფილტვებისა, კუჭისა და ჭლექის ავადმყოფობისა. მიღება 4—8 საათამდე გარდა კვირა დღეებისა. კრილოვის ქუჩა, სახლი № 5, ბინა № 3, ტელეფონი № 12—46.

**ექიმი დიმიტრი იოსების ძე ჟორდანია**
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგანი, ხრონიკული მალარია, სისხლნაკლებობა, ვენერიული, ხრონიკული ტრიპერი, საშარდე მილის სივიწროვე, სიფილისი და მის შედეგები, 606—914 შეშხაპუნება. მიღება საღ. 5—7 ს. მისამართი: გორის ქ. (დიდუბე) № 6. ტელეფ. 1—04.

**ექიმი ბ. ვ. მუხაძე**
იღებს [illegible] ავათმყ[illegible] საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; [illegible] ტელ. № 5—77.

**კბილის საექიმო კაბინეთები**
**თეოდორე საყვარელის ძე ცხომელიძისა**
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელ. წიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

**მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა**
**გ. ვ. მებრაზიანცი**
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსიდვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92

**[illegible] რ. ბ. შიშლო-ხაბაშვილი**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და [illegible] მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხეილის პრ., № 119, სახლი ფურერის. ტელ. 9—26.

**ექიმი ა. ნ. შატილოვი**
იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

**ექიმი გ. გოლდშტეინი**
ყოფილი ასისენტი ბარონ როტშილდის მთავარი თვალის გოსპიტლისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა. თვალის ავადმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება დილის 8—11 ს. და საღამ. 5—8 ს. ნიკოლოზის ქ. № 32.

**ექიმი დ. ი. ჯაფარიძე**
ლეჩულობს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 მადათოვის ქუჩა № 7, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65

**დემოკრატიული კლუბი „მუშტაიდი".**
დემ. კლ. არს. ქარ. სახ. წარ. მმარ. წრე.
ხუთშაბათს, 14 ნოემბერს, წარმოდგენილი იქნება ალ. ყაზბეგის
ცნობილი პიესა **არსენა** დრამა 3 მოქმ.
ბილეთების ფასი სახ ლხოა. ბილეთები იყიდება ყოველ დღე კლუბის კასაში.
დასაწყისი სრულ 8 საათზე. რეჟისორი პ. ფრანგიშვილი.
შემდეგი წარმოდგენა 17 ნოემბერს. ქარ. წარ. მმარ. წრის გამგეობა.

**ცენტრალური სასურსათო საბჭო**
(მადათოვის ქ. № 3 ყოფილი სასურსათო სამინისტრო) ამით აცხადებს საზოგადო დაწესებულებათა და კერძო პირთა საყურადღებოდ, რომ მსურველთ შეუძლიათ შეიძინონ ხსენებულ საბჭოში
**მარცვლოვანი მარილი დაწესებულ ფასებში**
მარილის მიღება შეიძლება ქ. თფილისში და ქ. ფოთში. (10—1)